სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ
მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

ნინო ხუროშვილი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

„საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივი თავისებურებანი ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლია ჭიღლაშვილი
სამართლის დოქტორი, პროფესორი

გორი

2020

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომის თემაა საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივი თავისებურებანი ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში.

საქართველოში აღნიშნულ ინსტიტუტმა ფეხი სრულყოფილად ვერ მოიკიდა, რადგან ჩვენ წარმოვადგენთ ტრადიციების მიმდევარ ქვეყანას. საზოგადოება კი საქორწინო ხელშეკრულებას აღიქვავს როგორც არატრადიციულ ინსტიტუტს, რადგან თვლიან, რომ იგი ეწინააღმდეგება მორალურ-ეთიკურ მოთხოვნებს. ასევე შესაძლებელია, რომ აღნიშული პრობლემა გამოწვეული იყოს საზოგადოების მიერ, სამართლის ნორმების არცოდნით. სწორედ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქორწინო ხელშეკრულების დადებითი მხარეების წარმოჩენა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და რაც მთავარია მათი ინფორმირება შესაბამისი სამართლის ნორმებით.

ნაშრომის თემატიკა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ოჯახის განვითარება თითოეული ჩვენთაგანის და ცივილიზებული საზოგადოებისათვის წარმოადგენს მეტად საჭირო საკითხს. განვითარებული ოჯახი კი სახელმწიფოს წარმატების საწინდარიცაა. აქედან გამომდინარე, შევეცადეთ წარმოგვედგინა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც აქტუალური და ამავდროულად მნიშვნელოვანია აღნიშნულ ინსტიტუტთან მიმართებაში.

ნაშრომი რათქმაუნდა ვერ უზრუნველყოფს საქართველოში საქორწინო ხელშეკრულების მყარად დამკვიდრებას, ვინაიდან, როგორც ავღნიშნეთ საზოგადოების ცნობიერების გაზრდაა აუცილებელი, ამისთვის კი სახელმწიფოს როლს აქვს უდიდესი მნიშვნელობა. თუმცა გვინდა აღნიშნული ინსტიტუტის დამკვიდრებისათვის, საზოგადოების თუნდაც მცირე ნაწილის ინფორმირება შევძლოთ.

Abstract

The Legal Features of the marriage contract in Georgian and foreign laws

Author: Khuroshvili Nino

The topic of this work is the singularity of the marriage contract in Georgian and foreign laws.

This institute didn't fit in Georgia fully, because we are traditional country. And society considers marriage contract as non-traditional, because it is in contradiction with the moral-ethic demands. Also it is possible that the pointed problem could be issued by society, because don't knoeing the law norms. Thus, according the pointed circumstance, the main target of the work is to point the positive moments of the marriage contract at the first plan and to increase the comprehension of society and as in main to inform them the appropriate law norms.

Topic of the work is very significant, because development of family is necessary for each of us and it is necessary question for the civil society. Developed family is a prerequisite of successful state. Following this, I have tried to give that significant questions, which are actual relating this institute.

Of course, the work will not ensure the approvement of marriage contract in Georgia, because as I have mentioned it is necessary to increase the awareness of society and in this question the state plays big role. But for the a im of embeddung the pointed institute we want to inform even a small part of society.

შინაარსი

შესავალი----------5-8

Iთავი, საქორწინო კონტრაქტი----------9-13

1.1 ქორწინების ცნება----------13-17

1.2 საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა და განვითარება----------17-21

1.3 საქორწინო კონტრაქტის დადება ფორმა და შინაარსი----------21-28

1.4 საქორწინო ხელშეკრულების დადება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთან----------29-32

II. თავი, საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონებრივი ურთიერთობები მეუღლეთა შორის----------32-37

2.1 საქორწინო კონტრაქტით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა----------37-41

2.2 მოვალეობები, რომლის შეცვლაც საქორწინო ხელშეკრულებით დაუშვებელია--41-43

2.3 საქორწინო კონტრაქტი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება----------43-46

III თავი, საქორწინო კონტრაქტის შეცვლის, შეწყვეტის და ბათილად ცნობის საფუძვლები----------46-47

3.1 საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა სასამართლოს მიერ----------47-49

3.2 საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა----------49-51

3.3 საქორწინო ხელშეკრულების ბათილად ცნობა----------51-54

IVთავი, საქორწინო კონტრაქტი საერთაშორისო კანონმდებლობაში----------54-58

დასკვნა----------59-61

გამოყენებული ლიტერატურა----------62-64

შესავალი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივი თავისებურებანი, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ კანონმდებლობაში. კერძოდ კი წარმოდგენილია მეუღლეთა ქონებრივი ურთოერთობების ახალი სახე, ანუ საქორწინო საკონტრაქტო ურთიერთობა. მასში განხილულია ყველა ის დადებითი მხარე, რაც ეხმარება მეუღლეებს, საჭიროების შემთხვევაში დაიცვან საკუთარი ქონება, ასევე განხილულია პრობლემები, რომელიც საქორწინო კონტრაქტის დადების თითოეულ ეტაპზე შესაძლებელია იქნეს წარმოშობილი. ნაშრომი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საქართველოს კანონმდებლობა შევადაროთ საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალს და მეტად თვალსაჩინო გავხადოთ არსებული პრობლემები, რაც შემდგომ დაგვეხმარება მათი მოგვარების სწორი გზის მოძებნაში.

ნაშრომის თემატიკა დღეს მეტად აქტუალურია, ვინაიდან ოჯახი წარმოადგენს ცივილიზებული საზოგადოების განვითარების აუცილებელ ფაქტორს. თანამედროვე საზოგადოებაში მეტი ინტერესია ოჯახში წარმოშობილი ქონებრივი ურთიერთობების სამართლებრივ რეგულაციაზე, აქედან გამომდინარე კი აღნიშნული ინსტიტუტი მნიშვნელოვან როლს იძენს ქართული საოჯახო სამართლის კანონმდებლობაში. ნაშრომის თემატიკა მიმართულია განსაზღვრული საზოგადოების მიმართ, რომელთაც სურთ თავისი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობა იყოს მეტად მყარი და დაცული.

წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანია მეტად თვალსაჩინო გახადოს მეუღლეთა შორის საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობაში არსებული ყველა ის ნიუანსი, რომელიც შესაძლებელია წარმოქმნილი იქნეს ქორწინების დროს. რადგან გარდა იმისა, რომ საქორწინო ხელშეკრულება გახლავთ შეთანხმება ქორწინების რეგისტრაციაზე, ასევე იგი წარმოადგენს მეუღლეთა შორის ერთობლივი ცხოვრების განმავლობაში არსებულ ქონებრივ უფლება-მოვალეობებს, რომლის საშუალებითაც მეუღლეებს

შეუძლია განსაზღვრონ, როგორც უკვე არსებული, ისე მომავალში შეძენილი ქონების ბედი. ასევე სრულად და ამომწურავად უნდა გაეცეს პასუხი, ამ საკითხზე არსებულ ყველა დასმულ ამოცანას, ეს იქნება საოჯახო-სამართლებრივი თუ სახელშეკრულებო-ქონებრივი ურთიერთობა.

ქორწინება არის ინსტიტუტი, რომელიც აძლიერებს ოჯახს და წარმოადგენს ცივილიზებული საზოგადოების ორგანიზმს. აქედან გამომდინარე ქორწინებასა და ოჯახს განსაკუთრებული როლი უჭირავს თითოეული ადამიანის ჩამოყალიბებასა და საზოგადოებრივ განვითრებაში. ყველა ქვეყანაში საქორწინო-საოჯახო ურთიერთობები ტრადიციებთან ასოცირდება და გასხვავდება ერთმანეთისაგან. თუმცა საქართველოში ამ საკითხისადმი ინტერესი მართლაც, რომ მხოლოდ საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ მოხდა. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ წარმოვადგენთ ტრადიციების მიმდევარ ქვეყანას, საზოგადოების დიდი ნაწილი საქორწინო ხელშეკრულებას აღიქვავს როგორც არატრადიციულ და მეუღლეთა შორის არსებულ არასასურველ ინსტიტუტად, რომელიც ეწინააღმდეგება ქართული საზოგადოების მორალურ მოთხოვნებს. სწორედ ამ მოსაზრების გაქარწყლება წარმოადგენს ჩვენს ძირითად მიზანს, რათა საზოგადოებისათვის გავხადოთ მეტად თვალსაჩინო საქორწინო ხელშეკრულების დადებითი მხარეები და შევქმნათ იმის წინაპირობა, რომ მყარად დამკვიდრდეს აღნიშნული ინტიტუტი.

პირველი თავი წარმოადგენს ნაშრომის შემდგომი განვითარების გზამკვლევს. მასში განხილულია ქორწინების ცნების და საქორწინო ხელშეკრულების როგორც წარმოშობის ასევე განვითარების გზები. ქვეთავებად ჩაშლილი და დეტალურად წარმოდგენილია თუ როგორ ხდება საქორწინო ხელშეკრულების დადება, როგორია მისი ფორმა და რას უნდა მოიცავდეს მისი შინაარსი, რაც აუცილებელია ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარისათვის. ჩვენთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ძალზედ საინტერესო საკითხს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან საქორწინო ხელშეკრულების დადება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში, რადგან აღნიშნული პირების უფლებების დაცვა საზოგადოების თითოეული წევრისათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

მეორე თავი დაეთმო საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება- მოვალეობების როგორც განსაზღვრას, ასევე მის შეზღუდვას. იქიდან გამომდინარე, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნულ ხელშეკრულებაში გარკვეული უფლება-მოვალეობების შეზღუდვას, საჭიროდ ჩავთვალეთ დეტალურად გადმოგვეცა აღნიშნული შეზღუდვები. ასევე განვიხილეთ მოვალეობები, რომლის შეცვლაც საქორწინო ხელშეკრულებით დაუშვებელია. იქიდან გამომდინარე, რომ არ მოხდეს მეუღლის ან ოჯახის რომელიმე წევრის უფლებების დარღვევა, აუცილებელია ვიცოდეთ აღნიშნული მოვალეობები. ერთ-ერთ საინტერესო თემად ჩავთვალეთ, რომ წარმოგვედგინა საქორწინო ხელშეკრულება, სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების ჭრილში, რადგან ნათლად დავინახოთ როგორც მათი მსგავსება, ასევე განმასხვავებელი ნიშნები.

მესამე თავში განხილულია საქორწინო ხელშეკრულების შეცვლის, შეწყვეტის და ბათილად ცნობის საფუძვლები, როგორც საქართველოს, ისე სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით. წარმოდგენილია სასამართლოს უფლებამოსილებაც, თუ რა დოზით შეიძლება შეიტანოს ცვლილებები მეუღლეთა შორის არსებულ შეთანხმებაში. ნებისმიერი შეთანხმება, მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში და მისი დაცვით შეიძლება იქნეს განხორციელებული, ამიტომ აღნიშნული საკითხიც მეტად მნიშვნელოვანია მეუღლეებისათვის, შემდგომში არსებული პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

მეოთხე თავი კი მთლიანად ეთმობა საქორწინო ხელშეკრულების განხილვას საერთაშორისო კანონმდებლობაში. მასში წარმოდგენილია ხელშეკრულების სპეციფიკური ხასიათი, სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ ნაშრომში განხილულია როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ასევე სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაც, აღნიშნულ ინსტიტუტთან მიმართებაში.

კვლევის პროცესში გამოყენებულია შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდი. რადგან ნაშრომში ერთმანეთს ვადარებთ როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის კანონმდებლობას. აღნიშნული კვლევის მნიშვნელობა განაპირობა იმ

ფაქტმა, რომ საზოგადოებაში საქორწინო ხელშეკრულება არ არის მყარად დამკვიდრებული, არსებობს მცდარი მოსაზრებები, რომლებიც გარკვეულ დაბრკოლებას უქმნის მეუღლეებს, რათა მიმართონ აღნიშნულ საკითხს. რეალურად კი საქორწინო ხელშეკრულება წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან და საჭირო ინსტიტუტს. იგი შესაძლებლობას აძლევს მეუღლეებს დაიცვან და განამტკიცონ მათი ქონებრივი უფლება-მოვალეობები.

ნაშრომის თეორიულ ბაზად გამოვიყენეთ სხვადასხვა მეცნიერის ნაშრომი და საკანონმდებლო აქტები, რამაც საშუალება მოგვცა ნათლად დაგვენახა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქორწინო ხელშეკრულების მყარად დანერგვა თითოეული ოჯახისათვის, ხოლო განვითარებული და მყარი ოჯახი კი ჩვენი ქვეყნის წარმატების საწინდარია. სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლისაგან, ოთხი თავის, ათი ქვეთავის და დასკვნისაგან.

I. თავი, საქორწინო კონტრაქტი

საქორწინო ხელშეკრულების (შემდგომში საქორწინო კონტრაქტი) ინსტიტუტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნოველაა, რომელმაც საქართველოს ნორმატიული აქტების სისტემაში 1997 წელს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებით დაიმკვიდრა თავისი ადგილი ქართულ საოჯახო სამართალში. გაბედულ ნაბიჯად უნდა იქნას მიჩნეული ქართველი ცივილისტების გადაწყვეტილება ზემოხსენებული ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის კოდექსში განთავსების შესახებ. უნდა ითქვას, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში დსთ-ს ფარგლებში საქართველო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო აღმოჩნდა, რომელმაც აღიარა და საკონონმდებლო დონეზე განამტკიცა საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი.[1]

პროფესორ შ. ჩიკვაშვილის მოსაზრებით საქორწინო კონტრაქტი, როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, „კარგად დავიწყებული ძველია“. ის ერთ-ერთ უძველეს სამართლებრივ ინსტიტუტს მიეკუთვნება. მის ყველაზე ძველ მაგალითად კეთუბეხსი (Ketubahs) არის მიჩნეული, რომელიც არსებობის ორი ათას წელზე მეტს ითვლის. ეს ჩვენამდე მოღწეული პირველი ხელშეკრულებაა, რომელიც შეიცავს დებულებებს მეუღლეების განქორწინების შემთხვევაში მათი ქონების გაყოფის პირობების შესახებ. ძველი ებრაელების სამართლის თანახმად, წერილობით შესრულებული (აქედან გამომდინარეობს ხელშეკრულების სახელწოდებაც - „კეთუბა“ წერილს ნიშნავს) საქორწინო ხელშეკრულება დაქორწინების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.[2]

კანონის მიხედვით მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათ შორის ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის საფუძვლები. საქორწინო ხელშეკრულების დადება სავალდებულო არ არის, იგი მეუღლეთა სურვილზეა დამოკიდებული, მაგრამ თუ

[1] გ. თუმანიშვილი - საქორწინო კონტრაქტი (მონოგრაფია) 2010წ. გვ. 12
[2] შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი 2000წ. გვ. 182

ხელშეკრულება დაიდება, იგი მეუღლეთა შორის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების განაწილების სამართლებრივი საფუძველის ხასიათს იძენს და უნდა პასუხობდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის კანონით წაყენებულ ზოგად მოთხოვნებს.[3]

პროფესორ ლ.ჭანტურიას მოსაზრებით ცხოვრებაში მნიშვნელოვანია საოჯახოსამართლებრივი გარიგებების როლი. მათ, უწინარეს ყოვლისა, განეკუთვნება დაქორწინება, საქორწინო კონტრაქტი.[4]

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები მართლაც, რომ ძალზე მნიშვნელოვანია. ოჯახის სიმტკიცისათვის კი ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს მყარი ქორწინება. საქორწინო ხელშეკრულება სწორედ ამის გარანტიას აძლევს თითოეულ მეუღლეს. მათ აქვთ საშუალება, რომ დაიცვან ქონებრივი უფლება-მოვალეობები, შემდგომში შესაძლო პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

პროფესორ გიორგი თუმანიშვილის მოსაზრებით საქორწინო კონტრაქტის ცნება, რომ უფრო ნათელი გახდეს ჩვენთვის, აუცილებელია გამოვკვეთოთ მისი მთავარი შემადგენელი ელემენტები, კერძოდ:

1. საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს სამოქალაქო გარიგების საოჯახო სამართლებრივი ხელშეკრულების სახეს;

2. საქორწინო კონტრაქტის სუბიექტები: დასაქორწინებელი პირები ან მეუღლეები;

3. საქორწინო კონტრაქტის ობიექტი: ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალობანი;

4. საქორწინო კონტრაქტის მოქმედება დროში: კონტრაქტი შესაძლოა იყოს გარკვეული ვადით დადებული ან უვადო, ამავდროულად კონტრაქტით ქონებრივი და არაქონებრივი უფლებანი და მოვალეობანი განისაზღვრება, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.

---

[3]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეხუთე-გამომცემლობა სამართალი თბ. 2000წ. გვ 128

[4]ლ. ჭანტურია „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“ გამომცემლობა „სამართალი“ თბ. 2011წ. გვ. 307

5. საქორწინო კონტრაქტის დადება: შესაძლოა დაიდოს როგორც ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს. საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დაიდო ქორწინების რეგისტრაციამდე, ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან (სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში).

6. საქორწინო კონტრაქტის ფორმა: იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.[5]

ნოტარიუსი უფლებამოსილია უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განაცხადის, სარეგისტრაციო დოკუმენტის ელექტრონული ან/და მატერიალური სახით წარდგენა სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ორგანოსათვის, თუ სანოტარო მომსახურების შედეგად დამოწმებული დოკუმენტი ექვემდებარება რეგისტრაციას, აგრეთვე სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ორგანოსაგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს უფლების, უფლებაში ცვლილების ან/და უფლების შეწყვეტის შესახებ ჩანაწერის რეგისტრაცია.[6]

ნოტარიუსი ვალდებულია საიდაუმლოდ შეინახოს ცნობები, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით. სასამართლოსგან განსხვავებით, რომელიც საქმეებს საჯაროდ განიხილავს და წყვეტს, ნოტარიუსებმა საიდუმლოდ უნდა შეინახონ გარიგებათა პირობები , რადგან ანდერძების, ქონების მართვის მინდობილობების, მემკვიდრეობაზე უარის , საქორწინო ხელშეკრულების, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისა და სხვათა შინაარსთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებამ შეიძლება სერიოზული სამართლებრივი კონფლიქტები გამოიწვიოს.[7]

უნდა აღინიშნოს ნოტარიუსის ვალდებულების დადებითი მხარე, რომელიც გამოიხატება საქორწინო ხელშეკრულებასთან მიმართებით ცნობების საიდუმლოდ შენახვაში. ვინაიდან აღნიშნული ვალდებულება მეუღლეებს მისცემს საშუალებას, რომ თამამად გადადგან ნაბიჯი და დადონ ხელშეკრულება, რომლის პირობებიც მხოლოდ მხარეებისათვის იქნება ცნობილი და არ გახდება საზოგადოების განხილვის საგანი.

---

[5]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ მონოგრაფია 2010წ. გვ. 23
[6]საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ - 39-ე მუხლი 22.12.2009წ.
[7]შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი 2004წ. გვ 187

საქორწინო ხელშეკრულება მოიცავს მეუღლეთა შორის სამი საკუთრების სახეს - თანაზიარს, ინდივიდუალურსა და წილობრივს. ხელშეკრულების დადებით შესაძლებელია ბუნება შეიცვალოს როგორც მეუღლეთა ინდივიდულურმა, ისე საერთო საკუთრებამ. მათი შეხედულებით, ინდივიდულური საკუთრება შეიძლება განისაზღვროს, როგორც საერთო საკუთრება და, პირიქით. აღნიშნული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე. ამ დებულებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მისი არარსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების დადების შემდეგ, მეუღლეთა მიერ შეძენილ ქონებაზე ავტომატურად გავრცელდებოდა მეუღლეთა ქონების არა სახელშეკრულებო, არამედ კანონიერი რეჟიმი.[8]

საქორწინო ხელშეკრულება, ბუნებრივია, ქორწინებასთან არის დაკავშირებული და მხოლოდ მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობების რეგულატორად გამოდის. ამიტომ, თუ ხელშეკრულება დაიდო მომავალ მეუღლეებს შორის, იგი ძალაში არ შევა მანამდე, ვიდრე არ მოხდება ქორწინების რეგისტრაცია. იმ შემთხვევაში კი, როცა საქორწინო ხელშეკრულება დაიდო წინასწარ, ქორწინების რეგისტრაციამდე, მაგრამ შემდეგ ქორწინება არ შედგა, იგი უნდა გაუქმდეს. აქედან გამომდიანარე, შეიძლება ითქვას, რომ საქორწინო ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციის გარეშე არავითარ უფლება-მოვალეობებს არ წარმოშობს.[9]

პროფესორი შ.ჩიკვაშვილის გადმოცემით საქორწინო ხელშეკრულების საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა, რომელიც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა, მოწმობს, რომ რიგი ობიექტური მიზეზების გამო ეს ხელშეკრულება არ არის გათვლილი მასობრივ მომხმარებელზე და ამიტომ არ ან ვერ იქნება არჩეული ოჯახური წყვილების მიერ მათი ქონებრივი ურთიერთობების დასარეგულირებლად. ამ გარიგებას მიმართავენ შეძლებული მოქალაქეები, რომელნიც მემკვიდრეობით მიღებული საოჯახო ქონების შენარჩუნებას ცდილობენ. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მსგავსი ხელშეკრულება ახალდაქორწინებულთა სამი -ხუთი პროცენტის მიერ იდება.

[8]შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი 2004წ. გვ 190-191
[9]რ.შენგელია ე. შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2015წ. გვ. 135

სწორედ ამ ფარგლებში ხდება საქორწინო ხელშეკრულებაზე საზოგადოების პრაქტიკული მოთხოვნილების რეალიზება. აქედან გამომდინარეობს პასიური მიდგომა, რომელსაც დღესდღეობით იჩენენ მოქალაქეები საქორწინო ხელშეკრულების მიმართ, მიზეზი არის ერთი მხრივ ის, რომ მოსახლეობას არ სურს ჩვეული კალაპოტიდან ამოვარდნა, მეორე მხრივ კი - სამართლებრივი უცოდინარობა, რადგან მოსახლეობის უმეტესობამ არაფერი იცის საოჯახო-საქორწინო ურთიერთობათა მარეგულირებელი ხელშეკრულების მსგავსი ნორმის თაობაზე.[10]

1.1 ქორწინების ცნება

ოჯახის შექმნის უძველეს და ყველაზე გავრცელებულ საფუძველს ქორწინება წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე ინდივიდუალური ოჯახების შექმნის მოთხოვნილება გაჩნდა, ქორწინება დღევანდლამდე ინარჩუნებს ადამიანური არსებობისა და ურთიერთობის საუკეთესო შესაძლებლობებს.[11]

ქორწინებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და უკავია ადამიანთა ცხოვრებაში. იგი დასაბამს აძლევს ადამიანის ახალ ცხოვრებას, იქმნება ოჯახი ადამიანთა საზოგადოებრივი გაერთიანების პირველი უჯრედი. იგი მოიცავს ცოლქმრულ კავშირს, მათ ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას ერთმანეთის, შვილების, გარემომცველი ადამიანებისა და საზოგადოების მიმართ.[12]

ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფილობითი კავშირი რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული

[10]შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი თბ. 2004წ. გვ. 188-189
[11]რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო სამართალი“ (თეორია და პრაქტიკა) 2009წ. გვ. 58
[12] ნ. ჩიკვილაძე, დისერტაცია - მართმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობები და დემოგრაფიული ორიენტაციები §2
http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000058/Disertacia%20pdf..pdf?fbclid=IwAR14EgoQHf-2w8YLuXZH7ma1r_thToQzkrQ2UpiRV4fVvLNm2maITG_oRSg

პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (შემდგომ - სააგენტოს ტერიტორიული სამსახური).[13]

პროფესორ ვ.მეტრეველის მოსაზრებით ქორწინება საოჯახო სამართლის კარდინალური ინსტიტუტია. ქორწინების პრობლემით დაინტერესებულნი არიან არა მარტო იურისტები, არამედ სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ეკონომისტები თუ ისტორიკოსები, რადგან ამ ინსტიტუტში ჩანს საზოგადოების განვითარების გზა, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი.[14]

ქორწინების პირობები თითოეული მომავალი მეუღლისათვის განსაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქესაც იგი წარმოადგენს, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირთათვის ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომელიც წარმოადგენს მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. გარდა ამისა, ქორწინებისათვის დაბრკოლებათა მიმართ დაცულ უნდა იქნას იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლის ტერიტორიაზეც ხდება ქორწინება.[15]

ქორწინებამ, ვიდრე იგი მონოგამურ ფორმაში ჩამოყალიბდებოდა, განვლო განვითარების რთული და გრძელი გზა.[16]

ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია და უფლება აქვს, დაცული იქნას საზოგადოების და სახელმწიფოს მიერ.[17] საოჯახო ურთიერთობებს იურიდიულ ხასიათს ანიჭებს მათი რეგულირება სამართლებრივი ნორმებით. ქორწინების რეგისტრაციას კონსტიტუციური, ანუ უფლება წარმომქმნელი მნიშვნელობა გააჩნია. დაქორწინებისათვის აუცილებელია: ა) საქორწინო ასაკი და ბ) დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი.

[13]საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 1106
[14]ვ. მეტრეველი „ქართული სამართლის ისტორია“ (გამომცემლობა მერიდიანი) თბ. 2014წ. გვ. 350
[15]მინსკის კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ, 1993წ.მუხლი 26. გვ. 10 http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi21.pdf
[16]გ. ნადარეიშვილი „ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევი“ 1971წ. გვ.19
[17]საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და საერთაშორისო უფლებების შესახებ 23-ე მუხლის პირველი ნაწილი https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0

გამონაკლის შემთხვევებში 16 წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით.[18]

პროფესორ შენგელიების მოსაზრებით ქორწინება უპირველეს ყოვლისა, ქალისა და მამაკაცის სამართლებრივი კავშირია. ქორწინებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს ურთიერთობებს სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ. ისინი განსაზღვრავენ ქორწინების წესსა და პირობებს, ქორწინების შეწყვეტისა და გაბათილების საფუძვლებსა და სხვ. სამართლებრივ ნორმებში მოცემულია ქორწინების ცნების ძირითადი მახასიათებლებიც. მართალია, ქორწინების ცნების ერთიან და სრულყოფილ მოდელს ვერც ერთი საკანონმდებლო აქტი ვერ იძლევა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გვერდს უვლიან მასთან დაკავშირებული სირთულეების გადაწყვეტას. ქორწინების შინაარსის განმსაზღვრელ ნორმებში ნათლად ჩანს კანონმდებლის პოზიცია ქორწინების ცნებასთან დაკავშირებით. ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით საერთოდ არ არის განსაზღვრული ქორწინება. ეს ალბათ, ქორწინების ცნების ყოვლისმომცველობის შეულებლობით არის განპირობებული. ამიტომ კანონმდებელი უმეტესად სარგებლობს ქორწინების საყოველთაოდ მიღებული ზოგადი ცნებით და შემდეგ ცდილობს მისი ცალკეული ელემენტების დაკონკრეტებას.[19]

სამართლის დოქტორი ლია ჭიღლაშვილის მოსაზრებით ეჭვგარეშეა, რომ ქართველი ხალხისათვის ოჯახის შექმნისას მნიშვნელოვანია კულტურულ - მენტალური ფასეულობები, რომელთა ზემოქმედებითაც ყალიბდება ესა თუ ის პიროვნება. ახალგაზრდების ცნობიერებაზე დიდ გავლენას ახდენს თანამედროვე ტენდენციები და გარკვეული მათგანი უარს ამბობს ტრადიციული ოჯახის შექმნაზე, უპირატესობას ანიჭებს არარეგისტრირებულ კავშირს პარტნიორთან და თავს არიდებს ოჯახურ ურთიერთობაში პასუხისმგებლობებს.[20]

სამწუხაროდ დღევანდელი ახალგაზრდების უმრავლესობა ეძებს გზებს, პასუხისმგებლობის თავიდან არიდების შესახებ. რაც არც თუ ისე სასარგებლო იქნება

---

[18]ია ხარაზი „სამოქალაქო სამართალი სამოქალაქო საპროცესო სამართალი (თეზისები) თბ. 2009წ. გვ. 167
[19]რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო სამართალი“ (თეორია და პრაქტიკა) 2009წ. გვ.61
[20] ლია ჭიღლაშვილი - ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობით (დისერტაცია) თბ. 2016წ. გვ. 5
http://www.gruni.edu.ge/uploads/files/disertaciebi/LAW_Lia_Chiglashvili.pdf

თითოეული ოჯახისათვის. სწორედ აღნიშნული არარეგისტრირებული კავშირი წარმოქმნის მომავალში მრავალ პრობლემას, რომელშიც არა არის გაცნობიერებული ის ქონებრივი უფლება-მოვალეობები რომლებიც აკისრია თითოეულ მეუღლეს.

აღსანიშნავია, რომ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობები ყველა ქვეყანაში უშუალოდ ტრადიციებთანაა დაკავშირებული და შესაბამისად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ქორწინების განსხვავებული წესები და პირობები გააჩნიათ ევროპულ ქვეყნებს აზიური (მუსლიმური) სახელმწიფოებისაგან, ამერიკის კონტინენტის ქვეყნებს იაპონიისა და ჩინეთის სახელმწიფოებისაგან და ა.შ. უფრო მეტიც, ტერიტორიულ მეზობელ ქვეყნებსაც კი შეიძლება რადიკალურად განსხვავებული წეს-ჩვეულებები გააჩნდეთ ქორწინებასთან დაკავშირებით, რაც თავისთავად ასახვას შესაბამის კანონმდებლობაშიც პოვებს.[21]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსით დაუშვებელია დაქორწინება სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე, ხოლო საოჯახო საქმეთა სასამართლოს განცხადების საფუძველზე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული დანაწესისაგან გათავისუფლების შესახებ, თუ განმცხადებელმა მიაღწია 16 წლის ასაკს და მისი მომავალი მეუღლე სრულწლოვანია.[22]

მაგალითად, საბერძნეთის კონსტიტუციაში ოჯახი განიხილება როგორც ერის შენარჩუნებისა და განვითარების საფუძველი.[23]

ხოლო ბატონ ვალერიან მეტრეველის გადმოცემით, რომაელი იურისტები ქორწინებას განმარტავდნენ როგორც ქალისა და მამაკაცის თავისუფალ და თანასწორ კავშირს, სინამდვილეში არასოდეს არ ყოფილა რომში ქალი მამაკაცის თანასწორი.[24]

ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად. დემოკრატიულ საზოგადოებაში

---

[21]ზ. გაბისონია „ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი“ (გამომცემლობა იურისტების სამყარო) თბ. 2016წ. გვ.313

[22]გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (მეორე რედაქტირებული გამოცემა) თბ. 2019წ. §1303 (1) (2) ნაწილი.

[23]ე. კუსიანი „საქორწინო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიული ფორმულაცია (სტატია) გვ. 4 http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf

[24] ვ. მეტრეველი - რომის სამართალი (საფუძვლები) თბ. 2013 წ. გვ. 101

აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.[25]

1.2 საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა და განვითარება

სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უძველესი სამართლებრივი ინსტიტუტი - საქორწინო ხელშეკრულება ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა მსოფლიოში. პირველი წერილობითი დოკუმენტები ძველ საბერძნეთში, რომსა და ეგვიპტეში გვხვდება. იმხანად ქალი და მამაკაცი დებდნენ შეთანხმებას, რომლითაც ურთიერთშორის ქონებრივ ურთიერთობასაც და ერთობლივად შეძენილი ქონების მემკვიდრეობის საკითხსაც ადგენდნენ. ამჟამად კი, დასავლეთში საქორწინო კონტრაქტის გაფორმება წყვილის ურთიერთობაში ჩვეულებრივი მოვლენაა.[26]

საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის და მისი თავდაპირველად გამოყენების საკითხი, დღემდე დაუზუსტებულია მეცნიერების მიერ. იმის გასასარკვევად, თუ პირველად რომელ სახელმწიფოში იქნა აღნიშნული ხელშეკრულება გამოყენებული, მივყვეთ გ. თუმანიშვილის არგუმენტაციის ქრონოლოგიას:

1. 1905 წელს ჰააგაში მიღებულ იქნა კონვენცია, რომელიც ეხებოდა საოჯახო სამართლებრივ საკითხების ფართო წრეს, კერძოდ კი საქორწინო კონტრაქტს;

2. 1882 წლამდე ინგლისში მეუღლეთა საკუთრება რეგულირდებოდა Common Law -ს პრინციპებით და ნორმებით. საერთო სამართლის ნორმების მიხედვით მეუღლეთა საკუთრება თითქმის მთლიანად ეკუთვნოდა მეუღლე მამაკაცს (ქმარს). ქალს არ ჰქონდა უფლება თავისი საკუთრების განკარგვისა ანუ ქონებრივი დამოუკიდებლობისა, ვინაიდან მისი საკუთრება გადადიოდა მეუღლის საკუთრებაში, რომლის განკარგვის უფლებაც ქმარს ჰქონდა.

[25]საქართველოს კონსტიტუცია მე-15 მუხლის პირველი ნაწილი 24.08.1995

[26] ი. ხარშილაძე - რატომ გაიზარდა საქართველოში საქორწინო ხელშეკრულებების რაოდენობა? https://www.ambebi.ge/article/84005-ratom-gaizarda-sakartveloshi-sakorcino-xelshekrulebebis-raodenoba/?fbclid=IwAR2oqgyZuemxgdgdLmla6MiBlrDHDzc22bCHW-Tlf2fgc1ESpZNfEchCa0k

3. 1942 წელს ონორე დე ბალზაკის მიერ გამოცემული იქნა თხზულება „საქორწინო კონტრაქტი“. თავის თხზულებაში ბალზაკი მოგვითხრობს ისტორიას იმის შესახებ, თუ როგორ დაიდო საქორწინო კონტრაქტი მისი თხზულების ორ პერსონაჟს შორის. თხზულებიდან ნათლად ჩანს, რომ საფრანგეთში არამც თუ 1835 წელს, არამედ ბევრად ადრეც საქორწინო კონტრაქტი იყო ჩვეულებრივი მოვლენა, როდესაც დასაქორწინებელი პირების იურისტები ადგენდნენ საქორწინო კონტრაქტს, ხოლო შემდეგ დასაქორწინებელი პირები განიხილავდნენ მას და თანხმობის დადასტურებისათვის ხელს აწერდნენ.

4. 1989 წელს პირველად გამოქვეყნებული იყო, ხოლო 1991 წელს ითარგმნა ებრაულ ენაზე მეცნიერთა მიერ შემთხვევით აღმოჩენილი 1754-1765 წლებში შედგენილი, პორტუგალიელი ებრაელების კეთუბები (საქორწინო კონტრაქტი), რომელთა რაოდენობაც შეადგენდა 10 ტომს, სულ საქორწინო კონტრაქტთა რეესტრი მოიცავდა 233 საქორწინო კონტრაქტს. აღნიშნული კონტრაქტები შედგენილნი იყვნენ ტუნისის პორტუგალური თემის (გრანა) რავინთა სასამართლოს მოსამართლეების მიერ.

5. 1538 წელს ლანდერლოკის ერთ-ერთ დასახლებაში დადებულ იქნა საქორწინო კონტრაქტი, ვინმე მარტერ გერსა და ბერნარდა დე როლს შორის, (მეუღლე - ქმარი 14 წლის, მეუღლე - ცოლი 12 წლის) . ამ კონტრაქტის შესახებ შემდგომ ცნობილმა ადვოკატმა ჟან დე კორამ დაწერა წიგნი „ Достопамятный приговор“.

6. ეს არგუმენტი ჩემი აზრით საჭიროებს დიდ ყურადღებას, ვინაიდან იგი ეყრდნობა უძველეს დოკუმენტურ მასალას, რომელიც მიეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეს. კერძოდ, 1893 წელს კუნძულ ელეფანტაინის ერთ-ერთ დასახლებაში, რომელიც მდებარეობს მდინარე ნილოსის ნაპირზე, აღმოჩენილი იქნა პაპირუსის რამოდენიმე ასეული შეკვრა. პაპირუსის ამ შეკვრებიდან 8 შეკვრა 1947 წელს საჩუქრად გადაეცა ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმს. პაპირუსზე შესრულებული ნაწერები მოგვითხრობენ ვინმე ანანიის (რომელიც მოხსენიებულია, როგორც ერთ-ერთი ებრაული „თემის მამა“) და მისი მეუღლის - ტამუტის ცხოვრებას. ამ ნაწერების გარდა, რომლებიც ძირითადად შესრულებულია ძველ არამეულ ენაზე

პაპირუსის შეკვრებში მრავლადაა ამა თუ იმ პირებს შორის დადებული საქორწინო კონტრაქტები.[27]

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონები სავსებით ანალოგიურ დადგენილებას შეიცავენ: «უკეთუ კაცი ცოლს შეირთავს და არ დადებს წერილობით ხელშეკრულებას, მაშინ ეს ქალი ცოლი არაა». მაშასადამე, ძველო ბაბილონის სამართლის მიხედვით ქორწინების მთავარი პირობა, მისი იურიდიული საფუძველი არის წერილობითი ხელშკრულება.[28]

ევროპაში საქორწინო ხელშეკრულებები, როგორც მინიმუმ, შუა საუკუნეებიდან არის ცნობილი. ქორწინება განიხილებოდა როგორც ეკონომიკური კავშირი და მას ერთვოდა შესაბამის ქონებრივ ხელშეკრულებათა გაფორმება. თავდაპირველად საქორწინო ხელშეკრულება ზეპირი ფორმით იდებოდა, XVII საუკუნის დასაწყისიდან კი - წერილობით (რაც, პირველ რიგში ეხებოდა შემთხვევებს, როდესაც ქალს მიწის ნაკვეთი ეძლეოდა მზითვად). თანდათანობით საქორწინო ხელშკერულების წერილობითი გაფორმება აუცილებელი გახდა.[29]

მე-15-18 საუკუნეების ევროპაში შექმნილი ხელოვნების ნიმუშების სამართლებრივ-პოლიტიკურ კონტექსტში გაანალიზება საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის საქორწინო კონტრაქტის, როგორც ინსტიტუტის ფორმირების შესახებ. აღნიშნული ეპოქის ხელოვანთა ნამუშევრებზე ძირითადად წარმოდგენილი იყო შეყვარებული წყვილი, მათი მშობლები, რომლებიც თანხმდებოდნენ კონტრაქტის პირობებზე. ხელოვანთა ნაწილი სახელს უთქვამდა საქორწინო კონტრაქტს, ნაწილი კი ამხელდა მშობლებს, რომლებიც სტატუსის ან ფულის გამო აფორმებდნენ კონტრაქტს.[30]

XXI საუკუნეში ფართო გამოყენებაჰპოვა საქორწინო ხელშკერულების ფორმამ. განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკურმა წინსვალამ საფუძველი ჩაუყარა მის

---

[27]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ მონოგრაფია 2010წ. გვ. 44-45-46
[28]ი.დოლიძე „ძველი აღმოსავლეთის სამართალი“ თბ. 1960წ. გვ. 081
[29] შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი 2004წ. გვ 183
[30]ელა კუსიანი (სტატია) - საქორწინო კონტრაქტი მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიული ფორმულაცია 2012წ. http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf

პრაქტიკაში დანერგვას და ქონების დაზღვევის მიზნით მეუღლეები აფორმებენ არსებულ ხელშკერულებას.[31]

პროფესორ შ. ჩიკვაშვილის მოსაზრებით საბჭოთა კავშირში საქორწინო ხელშეკრულებები არ იდებოდა, რადგან მსგავსი ხელშეკრულება ვერ თავსდებოდა იმხნად არსებული საოჯახო ურთიერთობათა მკაცრი იმპერატიული რეგულირების ჩარჩოებში. თუმცა შეუძლებელი იყო მეუღლეების მხრიდან საკუთარი ქონებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბების ინიციატივის სრული ჩახშობა. ი.ა. კოროლიოვმა მართებულად შენიშნა, რომ „თუმცა სსრკ-ს კანონმდებლობაში არ იყო გათვალისწინებული საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი, მისი ცალკეული ელემენტები უკვე მაშინ არსებობდა“.[32]

პროფესორ ზ. გაბისონიას გადმოცემით ამგვარი კონტრაქტის დადების შესაძლებლობას ითვალისწინებს მრავალი ქვეყნის მატერიალური კერძო სამართალი. ეს ინსტიტუტი შემოიტანა საქართველოს ახალმა სამოქალაქო კოდექსმაც. კერძოდ, საქართველოს სკ-ის 1172-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.[33]

ნამდვილად მნიშვნელოვანი ინსტიტუტი შემოიტანა კანონმდებელმა საქორწინო ხელშეკრულების სახით. რომლითაც საწინდარი ჩაუყარა განვითარებული და მყარი ოჯახების ჩამოყალიბებას.

საქართველოში საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების სტატისტიკა ყოველწლიურად უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება. 2010 წელს 7 საქორწინო ხელშეკრულება დამოწმდა სანოტარო წესით; 2011 წელს - 13; 2012 წელს 21; 2013 წელს 23, 2014 წელს - 32 წლეულს (2015 წელს), სამ თვეში - 12 საქორწინო ხელშეკრულება.[34]

---

[31]ლია ჭიღლაშვილი„ქორწინების ფორმები - ზოგადი მიმოხილვა“ http://old.gruni.edu.ge/uploads/content_file_1_1908.pdf

[32]შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი 2004წ. გვ 183

[33]ზ. გაბისონია „ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი“ (გამომცემლობა იურისტების სამყარო) 2016წ. გვ. 339

[34]საქართველოს ნოტარიუსთა პალატა (20015 წ.) https://www.notary.ge/geo-2324-2015-cels-12-saqorcino-xelshekruleba-gaformda

ვიმედოვნებთ, რომ საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დღესდღეითობით სიახლეს წარმოადგენს, მომავალში უფრო ფართო გამოყენებას პოვებს და შეუფასებელ სამსახურს გაუწევს მეუღლეებს მათი ქონებრივი ურთიერთობების დარეგულირების საქმეში.[35]

1.3 საქორწინო კონტრაქტის დადება, ფორმა და შინაარსი

საოჯახო ურთიერთობათა განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ მატერიალურ ბაზაზე, რაც საფუძვლად ედება ოჯახის შექმნას. მეუღლეებს თავიანთ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სჭირდებათ განსაზღვრული ქონება. მეუღლეთა შორის კანონით დადგენილ ქონებრივ უფლება-მოვალეობათა შინაარსის გარკვევა, მათი ქონებრივი ინტერესების დაცვის საშუალებას წარმოადგენს. ქონებრივია ყველა ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრულ ქონებასთან, მის მფლობელობასთან, სარგებლობასა და განკარგვასთან.[36]

პროფესორ შ. ჩიკვაშვილის მოსაზრებით რამდენადაც საქორწინო ხელშეკრულება წარმოადგენს ქართული კანონმდებლობის სიახლეს, მას ჯერ კიდევ არა აქვს მყარი ნიადაგი რეალურ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, სოციოლოგიურ გამოკითხვათა შედეგებისა და მწირე სტატისტიკური მონაცემების გამო, ჩვენ ვერ წარვმართავთ მსჯელობას მისი პრაგმატულობის თაობაზე. თუმცა მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქორწინო ხელშეკრულების დადებას მიმართავენ როგორც დასაქორწინებელი, ისე ქორწინებაში მყოფი პირებიც. რაც შეეხება მათ სოციალურ კუთვნილებას, ხშირ შემთხვევაში, ისინი არიან შემლებული მესაკუთრენი, რომლებსაც სურვილი აქვთ, პირველ რიგში, შეინარჩუნონ ქონება.[37]

თუმცა ვფიქრობთ არ არის სავალდებულო იყო შემლებული მესაკუთრე, იმისათვის

[35]შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი 2004წ. გვ. 189
[36]რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ (გამომცემლობა „მერიდიანი“) თბ. 2015წ. გვ. 117-118 (ბ. ზოიძე „ქართული სანივთო სამართალი“ 2003წ. გვ. 26.)
[37]შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ.2004წ. გვ.184

რომ დადო საქორწინო ხელშეკრულება. შესაძლებელია ოჯახს მცირედი საკუთრება გააჩნდეს, თუმცა მათი საზოგადოებრივი განვითარება იმის საშუალებას აძლევდეს, რომ კანონმდებლობით დაარეგულიროს საკუთარი ქონებრივი უფლება-მოვალეობები.

ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს შექმნას ერთგვარი უნივერსალური კონსტრუქცია მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების შესახებ. პირველი ამგვარი ცდა განახორციელა შვედეთმა. ამ კონსტრუქციის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული მეუღლე ქორწინების პერიოდში ინარჩუნებს და საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავს საკუთარ ინდივიდუალურ ქონებას. ამ ქონებაში შედის ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონებაც.[38]

სსკ 1173-ე მუხლში მოცემული განმარტების მიხედვით, საქორწინო კონტრაქტი შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ასევე ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადსაღებია, რომ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკის მიხედვით საქორწინო კონტრაქტების 78% იდება ქორწინების რეგისტრაციამდე (აშშ-ის მაგალითი), ხოლო დანარჩენი 22% ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კანონმდებელი არ განსაზღვრავს და არ აწესებს დროის სივრცეში არავითარ ვადებს საქორწინო კონტრაქტის დადებასა და ქორწინების რეგისტრაციის ფაქტთან მიმართებაში.[39]

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ქორწინებამდე და ქორწინების განმავლობაშიც ნებისმიერ დროს. პირველ შემთხვევაში მხარეებს შორს უნდა განაწილდეს ქონებრივი უფლება-მოვალეობები ერთად ცხოვრების პერიოდისათვის და განქორწნების შემთხვევისთვისაც კი. მეორე შემთხვევაში მეუღლეებს შეუძლიათ ქორწინების პერიოდში, ხელშეკრულების დადებამდე შეძენილი ქონების

[38]ზ. გაბისონია „ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი (გამომცემლობა იურისტების სამყარო) თბ. 2016წ. გვ. 336
[39]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010 გვ. 81

სამართლებრივი რეჟიმი შეცვალონ და თანაც მომავალი პერიოდისათვის, თავიაანთი ინტერესების შესაბამისად გაანაწილონ ქონებრივი უფლება-მოვალეობები.[40]

საქორწინო ხელშეკრულება, ბუნებრივია, ქორწინებასთან არის დაკავშირებული და მხოლოდ მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობების რეგულატორად გამოდის. ამიტომ, თუ ხელშეკრულება დაიდო მომავალ მეუღლეებს შორის, იგი ძალაში არ შევა მანამდე, ვიდრე არ მოხდება ქორწინების რეგისტრაცია. იმ შემთხვევაში კი, როცა საქორწინო ხელშეკრულება დაიდო წინასწარ, ქორწინების რეგისტრაციამდე, მაგრამ შემდეგ ქორწინება არ შედგა, იგი უნდა გაუქმდეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქორწინო ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციის გარეშე არავითარ უფლება მოვალეობებს არ წარმოშობს.[41]

პროფესორ რ. შენგელიას მოსაზრებით საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად - ინდივიდუალურ, ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად, ანუ თანასაკუთრებად. ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს, ასეთია: ქორწინებამდელი, აგრეთვე ქორწინების პერიოდში მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება, პირადი მოხმარებისათვის შეძენილი ნივთები და სხვ. მეუღლეთა საერთო თანაზიარი საკუთრებაა მათ მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება. მათ, უპირველეს ყოვლისა მიეკუთვნება მეუღლეთა ერთობლივი მოხმარების საგნები, ხელფასი და სხვა ფულადი შემოსავალი, მათი მიღების წყაროს მიუხედავად. თანაზიარი საკუთრება მეუღლეებს ეკუთვნით თანაბრად, წილთა განუსაზღვრელად და გამოიყენება საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.[42]

საქორწინო ხელშეკრულება, როგორც ქონებრივი კონტრაქტის ნაირსახეობა , იდება კანონით განსაზღვრული ფორმითა და წესით. კანონი კი იმპერატიულად ითხოვს მის დადებას წერილობით და სანოტარო წესით დადასტურებას. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება, რომ საქორწინო ხელსეკრულება დაიდოს ზეპირად, ან მარტივი წერილობითი ფორმით, სანოტარო წესით დადასტურების გარეშე. სანოტარო

[40]რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო სამართალი“2009წ. გვ 175
[41]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეხუთე (გამომცემლობა სამართალი) თბ. 2000წ. გვ. 130
[42]რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო სამართალი“ 2009წ. გვ. 154

დადასტურება სანოტარო წესისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ დროს ხდება ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება და არა ხელშეკრულების შინაარსის კანონიერების შემოწმება.[43]მითითებული მოვალეობები ნოტარიუსს იმიტომ ეკისრება, რომ იმპირთა იურიდიული გაუთვითცნობიერებლობა, რომელნიც მას მიმართავენ, არ იქნეს გამოყენებული მათ წინააღმდეგ.[44]

ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო მოქმედების შესრულებისას სანოტარო მოქმედების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები განუმარტოს იმ პირებს, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას. ამასთანავე ნოტარიუსი ვალდებულია იზრუნოს იმაზე, რომ არ შეილახოს იმ პირთა ინტერესები, რომლებიც არ იცნობენ საქართველოს კანონმდებლობას და საჭიროებენ სამართლებრივ კონსულტაციას.[45]

პროფესორ გ.თუმანიშვილი გადმოგვცემს, რომ საქორწინო კონტრაქტში ასევე აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული კონტრაქტის დადების ადგილი და ხელმოწერის თარიღი. კონტრაქტი უნდა შეიცავდეს ნოტარიუსის ფორმულარს (დამადასტურებელ წარწერას). იგი შესაძლოა განთავსდეს როგორც კონტრაქტის დასაწყისში, ისე მის ბოლოში. ფორმულარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული კონტრაქტის შედგენის თარიღი და ადგილი, ნოტარიუსის ვინაობა, გადახდილი საზღაურის ოდენობა, კონტრაქტისათვის მინიჭებული რეესტრის ნომერი. საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში სსკ 1174-ე მუხლით, კონტრაქტისათვის დადგენილი აუცილებელი ფორმის დარღვევის შემთხვევაში, კონტრაქტის მიმართ ამოქმედდება სსკ 59-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ფორმის დაუცველად დადებული გარიგება (საქორწინო კონტრაქტი) იქნება ბათილი.[46]

საქორწინო ხელშეკრულებას უნდა გააჩნდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის აუცილებელი რეკვიზიტები. მათ მიეკუთვნება: ხელშეკრულების დადების ადგილი და თარიღი; იმ პირთა ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი, რომელთა შორისაც იდება

[43]ლ. ჭანტურია შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში,თბ. 1997 წ. გვ. 352
[44]შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი 2004წ. გვ 186
[45]საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ, 49-ე მუხლი 22.12.2009წ
[46]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010 წ. გვ. 87-88

ხელშეკრულება; ხელშეკრულების შინაარსი და ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები.[47]

პროფესორი შ.ჩიკვაშვილი გადმოგვცემს, რომ საქორწინო კონტრაქტის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა ხალხისა და ეროვნების წარმომადგენელ მეუღლეებს. ამგვარ ქორწინებაში დამატებით სირთულედ შეიძლება იქცეს ეროვნული ტრადიციების თავისებურებებიც, ასე რომ ოჯახში ყოველდღიური ქცევის რეგულირების აუცილებლობა (ეს განსაკუთრებით ქალებს ეხება) გაამართლებს საკუთარ თავს. საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების წინასწარი გაცნობიერება სჯობს შემდგომ გაუგებრობებსა და უხერხულობას.[48]

თუმცა სრულად ვერ დავეთანხმებით პროფესორ შ. ჩიკვაშვილს, ვინაიდან მეუღლეები არიან თანასწორუფლებიანები, ამიტომ მნიშვნელობა არ აქვს უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მეუღლე ქალი იქნება თუ მამაკაცი. საქორწინო ხელშეკრულება მოიცავს ქონებრივი უფლება-მოვალეობების რეგულირებას, რომლითაც არ შეიძლება შეიზღუდოს ადამიანის ის ძირითადი უფლებები, რომელიც მას დაბადებიდან აქვს.

საქორწინო ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს არა ნებისმიერი სამართალურთიერთობები, რომლებიც მეუღლეთა შორის ქორწინებაში წარმოიშობა, არამედ სახელდობრ მათი უფლებები და მოვალეობები ქონების მიმართ. სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლში დადგენილი საერთო წესის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ნებისმიერი ქონება მათ თანასაკუთრებას წარმოადგენს. რადგან საქორწინო ხელშეკრულების ობიექტს ქონებრივი, ანუ ქონებასთან დაკავშირებით და ქონების გამო წარმოშობილი მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები წარმოადგენენ, პირველ რიგში, აუცილებელია იმის დადგენა, თუ რა ქონებაზეა საუბარი.[49]

---

[47]თ. ზარანდია, ლ.ლაზარაშვილი, შ.ჯანხოთელი, ტიპიური ხელშეკრულების ნიმუშები. თბ. 2006წ. გვ. 270

[48]შ. ჩიკვაშვილი საოჯახო სამართალი (გამომცემლობა მერიდიანი) თბ.2004წ. გვ. 190

[49] ო. ჯახველაძე - საქორწინო კონტრაქტი (რატომ არ სარგებლობს საზოგადოება ამ ინსტიტუტით) https://elawjournal.wordpress.com/2012/02/14/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D/?fbclid=IwAR1CGjTHBlN8-Ax8B8brj4Wkz1VEzrdkmnVX2rHH5BzmzFugbZ6-bi3wo5E

საქორწინო ხელშეკრულების ძირითადი ნაწილია მისი შინაარსი, რომელშიც გადმოცემულია მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ყველა ნიუანსი. შინააარსი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ნაწილისაგან, რომელსაც სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთვა გააჩნია. მაგალითად, მის ზოგად ნაწილში შეიძლება გადმოცემული იყოს საერთო ხასიათის ის დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ საქორწინო ხელშეკრულებისა და მოქმედი საოჯახო კანონმდებლობის თანაფარდობის საკითხს, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ვალდებულებებს ქორწინების შენარჩუნებისა და საოჯახო ურთიერთობათა განმტკიცების სფეროში, განქორწინების შემთხვევისათვის თანაზიარი საკუთრების ობიექტებზე ინდივიდუალური ქონების რეჟიმის დაწესებას, განქორწინებაში თითოეული მეუღლის ბრალეულობის გათვალისწინებას და სხვ.[50]

პროფესორი გ. თუმანიშვილი გადმოგვცემს, რომ საქორწინო კონტრაქტის შინაარსის ძირითად ნაწილში შეიძლება განისაზღვროს მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების ცალკეული სახეების სამართლებრივი რეჟიმი. კონტრაქტში შეიძლება აგრეთვე გათვალისწინებული იქნეს დამატებითი პირობები. მოქმედი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1176-ე მუხლი ეძღვნება საქორწინო კონტრაქტის შინაარსს. ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად, საქორწინო კონტრაქტი შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე; საქორწინო კონტრაქტით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილი წესი; მეუღლეებს შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებაც (საერთო ქონება ან/და მთლიანად ან ნაწილობრივ თქვან უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე).[51]

შ. ჩიკვაშვილი კი გადმოგვცემს,რომ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების ცნების ქვეშ იგულისხმება ქორწინების პერიოდში შეძენილი

[50]საქართველოს საქმოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეხუთე (გამომცემლობა სამართალი) თბ. 2000წ. გვ. 131
[51]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ. 89

ყოველგვარი ქონება (უძრავი და მოძრავი), ის, რომელიც შეძენილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით. ამასთან, მეუღლეთა ერთობლივი შრომა მოცემულ შემთხვევაში, ნიშნავს ოჯახის საკეთილდღეოდ გაწეულ ყოველგვარ საზოგადოებრივად სასარგებლო და აუცილებელ შრომას, რასაც მეუღლეები ასრულებენ როგორც ოჯახში, ისე ოჯახის გარეთ. აქედან გამომდინარე, მეუღლეებს თანაბარი უფლებები აქვთ ქონებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი: ა) ეწეოდა საოჯახო მეურნეობას; ბ) უვლიდა შვილებს ქორწინებს პერიოდში; გ) ან სხვა პატივსადები მიზეზის გამო (ავადმყოფობა, სწავლა და ა.შ.) არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი.[52]

საქორწინო კონტრაქტი შეიძლება ითვალისწინებდეს მხარეთა შემოსავლებში მონაწილეობის შესაძლებლობასაც. მაგალითად, ერთი მეუღლე კონტრაქტით იღებდეს ვალდებულებას სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნახევარი გადასცეს მეორე მეუღლეს, ხოლო მეორე მეუღლე იღებდეს ვალდებულებას მის მიერ მიღებული დივიდენდების მეუღლისათვის გადაცემის შესახებ.[53]

პროფესორი გ. თუმანისვილის გადმოცემით საქორწინო კონტრაქტის შინაარსის მნიშვნელოან და აქტუალურ ნაწილს შეადგენს მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისათვის. (მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისათვის) არის მეტად მნიშვნელოვანი, რადგან მეუღლეებს შეუძლიათ თავიდანვე განსაზღვრონ, ქონების ესა თუ ის ცალკეული ნაწილი რომელ მეუღლეს დარჩება განქორწინებისას. აღნიშნულის გათვალისწინება საქორწინო კონტრაქტში აადვილებს განქორწინებისას ქონებრივი დავის გადაწყვეტას, რადგან ქონება ან ქონების ცალკეული ნაწილები, რომელზედაც მათ პოტენციურად შეიძლება

[52]შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი 2004წ. გვ. 131-132

[53]ოთარ ჯახველაძე „საქორწინო კონტრაქტი (რატომ არ სარგებლობს საზოგადოება ამ ინსტიტუტით) სტატია https://elawjournal.wordpress.com/2012/02/14/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D/?fbclid=IwAR2_AayYuM7GwqKSQQ2pyfb8qAnPH27PX-PIb-7PWsznHkKDrK3Bvdpx3ag

ჰქონდეთ დავა, განსაზღვრულია და მას შესაძლებელია საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით უკვე ჰქონდეს დაწესებული საკუთრების გარკვეული სახე.[54]

რათქმაუნდა შესაძლებელია საქორწინო ხელშეკრულებაში გაითვალისწინო ქონების ის ნაწილი რაც განქორწინების შემთხვევაში დარჩება რომელიმე მეუღლეს, თუმცა აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ განქორწინებამ შესაძლებელია რეალურად არ გამოიწვიოს ხელშეკრულების შეწყვეტა იქიდან გამომდინარე, რომ გარკვეული უფლება-მოვალეობები შესასრულებელი იყოს განქორწინების შემდგომ.

საქორწინო ხელშეკრულება მეტად პრაქტიკული ინსტიტუტია , კარგად აპრობირებული და დანერგილია ეროპულ სახელმწიფოებში.[55]

სამართლის დოქტორი - გიორგი თუმანიშვილი გადმოგვცემს აშშ-ში და ევროპის რამოდენიმე სახელმწიფოში გავრცელებული პრაქტიკის შესახებ, რომელიც ეხება დათქმას ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ, ანუ საქორწინო კონტრაქტის ერთ-ერთ გავრცელებულ პირობაზე - როდესაც განქორწინების საფუძველია ერთ-ერთი მხარის უღირსი საქციელი (ცოლ-ქმრული ღალატი, ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ხულიგნური ქმედებები). ზემოხსენებული ჩამონათვალი ასევე ხშირად გვხვდება დსთ-ს ქვეყნებში დადებულ საქორწინო კონტრაქტებში. ასე მაგალითად: რუსეთის ფედერაციაში დადებულ საქორწინო კონტრაქტთა 96% , უკრაინა 89%, ესტონეთი 98%, საქართველო 70% და ა.შ. [56]

მაგალითად გერმანული კანონმდებლობისათვის აუცილებელ ნორმას წარმოადგენს ხელშეკრულების ფორმა, რომელიც უნდა დაიდოს სანოტარო წესით ორივე მხარის ერთდროული თანდასწრებით.[57]

როგორც ავღნიშნეთ საქორწინო ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი ფორმა, როგორც საქართველოს ასევე უცხოურ კანონმდებლობაში. ხოლო ფორმის დაუცველობის შემთხვევაში შესაძლებელია

[54]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ გვ. 91
[55]ლ. ჭიღლაშვილი „ქორწინების ფორმების ზოგადი მიმოხილვა“ (სტატია) http://old.gruni.edu.ge/uploads/content_file_1_1908.pdf
[56]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ. 92
[57] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (მეორე რედაქტირებული გამოცემა) თბ. 2019წ. გვ. 357 §1410

წარმოქმნილი იქნეს რიგი პრობლემები, რომლებმაც შესაძლებელია გამოიწიოს ხელშეკრულების გაბათილება.

1.4 საქორწინო ხელშკრულების დადება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთან

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1175-ე მუხლი ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულების დადებას შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ, კერძოდ: შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს ქორწინების რეგისტრაციამდე შეუძლია დადოს საქორწინო ხელშეკრულება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.[58]

აღნიშნული საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს იმ პირების უფლებების დაცვა, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონენი არიან.

საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების ნაირსახეობაა და მისი ნამდვილობისათვის სხვა პირობებთან ერთად, აუცილებელია მისი მონაწილენი სამართალ-სუბიექტურნი იყვნენ. რადგან სრული ქმედუნარიანობა იწყება 18 წლის ასაკიდან, ხოლო დაქორწინება შესაძლებელია 16 წლიდან მშობელთა თანხმობითან სასამართლოს ნებართვით, ასეთ შემთხვევაში,ქორწინების რეგისტრაციამდესაქორწინო ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია არასრულწლოვანი პირის მზრუნველის (როცა მშობელი არაა თანახმა - სხვა კანონიერი წარმომადგენლის) თანხმობა. ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ კი, თანხმობა არაა საჭირო, რადგან მექორწინე სრული ქმედუნარიანი ხდება.[59]

პროფესორ გ. თუმანიშვილის გადმოცემით სსკ 1198-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, კანონიერ წარმომადგენლებად, უპირველეს ყოვლისა, გვევლინებიან

[58] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1175-ე მუხლი https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107

[59]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეხუთე (გამომცემლობა სამართალი 2000წ. გვ.133

მშობლები, რომლებიც განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში. მართალია, ზემოხსენებული 1175-ე მუხლი კრძალავს საქორწინო კონტრაქტის დადებას შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის გარეშე, მაგრამ ამავე კოდექსის 63-ე მუხლი მიგვითითებს, რომ თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ კონტრაქტის ნამდვლობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას. ასევე ყურადღება გავამახვილოთ სსკ 65-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, კონტრაქტი, რომელიც დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად თუკი არასრულწლოვანმა კონტრაქტით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა ან ამ წარმომადგენლების თანხმობით მესამე პირებმა ამ მიზნით ან/და თავსუფალი განკარგვის მიზნით.[60]

პროფესორ შ. ჩიკვაშვილის გადმოცემით საქორწინო კონტრაქტის დადება პირთან, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია შეზღუდულქმედუნარიანად ალკოჰოლური სასმელების ან ნაარკოტიკული ბოროტად გამოყენების საფუძველზე, მისი მზრუნველის თანხმობის გარეშე. ასეთი კონტრაქტი სასამართლოს მიერ შეიძლება აღიარებულ იქნეს ბათილად მზრუნველის სარჩელის საფუძველზე.[61]

რაც შეეხება სრულწლოვან , შეზღუდულქმედუნარიან პირს, მის მიერ ქორწინების რეგისტრაციამდე საქორწინო ხელშეკრულების დადებისას, აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. დაქორწინება შეიძლება საფუძვლად დაედოს მისი შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების გაუქმებას. სრულწლოვან პირს, რომელიც არ არის აღიარებული შეზღუდულქმედუნარიანად, მაგრამ თავისივე თხოვნის

[60] გ. თუმანიშვილი საქორწინო კონტრაქტი (მნოგრაფია) თბ. 2010წ გვ. 82
[61] შ.ჩიკვაშვილი - საოჯახო სამართალი (გამომცემლობა მერიდიანი) თბ. 2004წ.გვ.205

საფუძველზე დაენიშნა მზრუნველი, შეუძლია დაქორწინებამდე დადოს საქორწინო ხელშეკრულება ამ უკანასკნელის ნებართვის გარეშე.[62]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენს ქვეყანაში მყარადაა დაცული შეზღუდულქმედუნარიანი პირის უფლებები და მათ აქვთ საშუალება თავი იგრძნონ საზოგადოების სრულფასოვან წევრად.

პროფესორ გ. თუმანიშვილის გადმოცემით კი მნიშვნელოვანია ასევე ის გარემოება, რომ სხვადასხვა ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, პირის ქმედუნარიანობა სხვადასხვა ასაკობრივი ზღვარის მიღწევასთან არის დაკავშირებული ისევე, როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოში სხვადასხვა ასაკია მიჩნეული დაქორწინების პირობის დასაკმაყოფილებლად.[63]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსით შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს შეუძლია საქორწინო ხელშეკრულების დადება მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. ეს წესი მოქმედებს სამზრუნველო პირის მიმართაც, თუ სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხისათვის დადგენილია დათქმა თანხმობის აუცილებლობის შესახებ. თუ კანონიერი წარმომადგენელი მეურვეა, მაშინ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარდა საჭიროა საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა, თუ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილება გამორიცხული ან შეზღუდულია ანდა თუ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი შეთანხმებული ან გაუქმებულია. თუ კანონიერი წარმოამდგენელი მზრუნველია მაშინ საჭიროა მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს (Betreuungsgericht)ნებართვა. კანონიერ წარმომადგენელს არ შეუძლია საქორწინო ხელშეკრულების დადება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მეუღლის ან ქმედუნარიანი სამზრუნველო პირის სასარგებლოდ. ქმედუუნარო მეუღლის სასარგებლოდ ხელშეკრულებას დებს კანონიერი წარმომადგენელი; მას არ შეუძლია შეათანხმოს ან გააუქმოს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი. თუ კანონიერი წარმომადგენელი მეურვეა, მაშინ მას ხელშეკრულების დადება შეუძლია მხოლოდ საოჯახო საქმეთა სასამართლოს

[62]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეხუთე (გამომცემლობა სამართალი 2000წ. გვ. 134

[63]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ.83

თანხმობით. თუ კანონიერი წარმოამდგენელი მზრუნველია,მაშინ საჭიროა მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს თანხმობა.[64]

საქართველოს კანონის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ 23-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით - ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზრვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. ეს წესი ვრცელდება ქორწინების შედეგად ქმედუნარიანობის გაფართოების შემთხვევებზეც.[65]

პროფესორგ. თუმანიშვილის გადმოცემით, თუ საქორწინო კონტრაქტი იდება ორი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეს შორის, რომელთა თითოეულის ასაკი არის 17 წელი, ხოლო ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, მაშინ საქართველოს მოქალაქის მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1175-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია საქორწინო კონტრაქტის დადებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, ხოლო მეორე მხარისათვის გამოიყენება მისი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისი სამართლებრივი ნორმა. თუ იგი თავისი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით არის ქმედუნარიანი, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა საქორწინო კონტრაქტის დადებისათვის საქართველოში მას არ ესაჭიროება.[66]

II თავი, საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონებრივი ურთიერთობები მეუღლეთა შორის

[64]გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (მეორე რედაქტირებული გამოცემა)თბ. 2019წ. §1411 გვ. 357-358
[65]საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ 23-ე მუხლი https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4
[66]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ. 83

კერძო საკუთრებითი ურთიერთობებისა და საბაზრო მეურნეობისათვის დამახასიათებელი სხვა პრინციპები დღის წესრიგში აყენებს მეუღლეთა ტრადიციული ქონებრივი ურთიერთობების ახლებურად გააზრების აუცილებლობას.[67]

დროის მოთხოვნათა შესაბამისად, თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობა ქონებრივი ურთიერთობების რეგულირების იმპერატიულ მეთოდთან ერთად მათ დისპოზიტიურ რეგულირებასაც ითვალისწინებს, რაც საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების გზით მიიღწევა.[68]

საქორწინო ხელშეკრულბით შესაძლებელია, რომ მხოლოდ ქონებრივი უფლება-მოვალეობები განისაზღვროს, არ შეიძლება შეიცვალოს ის პირადი უფლება-მოვალეობები, რაც კანონმდებლობით აქვს მინიჭებული თითოეულ მეუღლეს.

თუმცა პროფესორ გ. ნადარეიშვილის მოსაზრებით მეუღლეთა შორის ქონებრივი და პირადი ურთიერთობა ერთმანეთისგან ჩინური კედლით არ შეიძლება იყოს დაშორებული.[69]

განქორწინების შემთხვევაში ხელშეკრულების ასეთი ფორმა საშუალებას აძლევს მეუღლეებს კონფლიქტური სიტუაციის დადგომამდე, იქამდე სანამ შეუძლებელი გახდება შექმნილი მდგომარეობის სუბიექტური შეფასება მათი (მეუღლეების) მხრიდან, ზედმეტი ნერვიული დაძაბულობის გარეშე სასამართლო წესით დააკმაყოფილონ ყველა ქონებრივი პრეტენზიები. მეუღლეთა ქონების სახელშეკრულებო რეჟიმის დაწესება ან საქორწინო ხელშეკრულების (კონტრაქტის) გაფორმება მეუღლეთა შორის საქართველოს კანონმდებლობის მნიშვნელოვან უფლებებს წარმოადგენს.[70]

პროფესორ შენგელიების გადმოცემით საერთოდ, საქორწინო ხელშეკრულების დადება სავალდებულო არ არის, იგი მეუღლეთა სურვილზეა დამოკიდებული. მაგრამ თუ ხელშეკრულება დაიდება, იგი მეუღლეთა შორის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების განაწილების სამართლებრივი საფუძველის ხასიათს იძენს და უნდა

[67]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი - წიგნი მეხუთე (გამომცემლობა სამართალი) თბ.2000წ.
[68]შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ.2004წ. გვ. 181
[69]გ. ნადარეიშვილი „ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“ თბ. 2005წ. გვ. 157
[70]შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი თბ. 2004წ. გვ. 181-182

პასუხობდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის კანონით წაყენებულ ზოგად მოთხოვნებს.[71]

პროფესორი შ.ჩიკვაშვილის მოსაზრებით კი ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა უფლებები და მოვალეობები ურთიერთრჩენის შესახებ, რაც, როგორც წესი, უფრო ფართოა, ვიდრე საალიმენტო ვალდებულება. საქორწინო ხელშეკრულებაში ურთიერთრჩენის შესახებ უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას, მეუღლეები უფლებამოსილნი არიან დაადგინონ პირობები, რომლებიც ავსებენ და არავითარ შემთხვევაში არ აუქმებენ მეუღლეთა (ყოფილ მეუღლეთა) მიერ ერთმანეთის მიმართმატერიალური დახმარების გაწევის საფუძვლებს.[72]

საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეები თავიანთი შეხედულებისამებრ ანაწილებენ ერთმანეთში ქონებრივ უფლება-მოვალეობებს. მართალია, ამ სფეროში მეუღლეებს სრული თავისუფლება გააჩნიათ, მაგრამ სამოქალაქო კოდექსი მაინც ამახვილებს ყურადღებას საქორწინო ხელშეკრულების შინაარსის ზოგიერთ მხარეზე და ხელშეკრულების მონაწილეებს სთავაზობს უფლება-მოვალეობათა განხორციელების შესაძლო მიმართულებებს.[73]

მეუღლეები უფლებამოსილნი არიან,საკუთარი შეხედულებისამებრ, დაადგინონ რეჟიმი, რომელიც მოიცავს ქონების განცალკევებისა და მათი ერთიანობის ცალკეულ ნიშნებს. მაგალითად მიმდინარე შემოსავლები მომავალში იყოს მეუღლეთა საერთო საკუთრება,ხოლო სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება კი განცალკევებული და ა.შ. [74]

საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს თითოეული მეუღლის მიერ საოჯახო ხარჯების გაწევის წესი, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელი იქნება საერთო შემოსავლებიდან ყოველწლიურად დასასვენებელი, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ან საოჯახო ავეჯის განსაზღვრული ნაწილის

[71]რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2015წ. გვ. 134
[72]შ. ჩიკვაშვილი საოჯახო სამართალი (გამომცემლობა მერიდიანი) თბ.2004წ. გვ 192
[73]რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2015წ. გვ. 139
[74]შ. ჩიკვაშვილი საოჯახო სამართალი (გამომცემლობა მერიდიანი) თბ.2004წ.გვ. 191

გამოსაცვლელი ფულადი სახსრების გამოყოფა და სხვ. ასევე შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მეუღლეთა საერთო ქონების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისათვის. მაგალითად, შესაძლებელია თანაზიარი საკუთრებით რომელიმე ობიექტი (საცხოვრებელი სახლი, ავტომანქანა, მიწის ნაკვეთი) განქორწინებისას არათანაბრად გაიყოს ან ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდულურ საკუთრებად ჩაითვალოს.[75]

მეუღლეთა შორის თანაზიარი ქონების გაყოფა ყოველთვის არ უკავშირდება მათი ქორწინების შეწყვეტის მომენტს.[76]

პროფესორ შალვა ჩიკვაშვილის მოსაზრებით, ხელშეკრულებაში მეუღლეებმა შეიძლება გაითვალისწინონ წილობრივი ხასიათი ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე, მათ შორის, საცხოვრებელ ფართობზე. მაგალითად, ხელშეკრულებაში მიუთითონ, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე ერთი მეუღლის ქონება შეადგენს ¼-ს, ხოლო მეორის - ¾. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ თითოეული მათგანის მიერ შეძენილი ქონება შეადგენდეს მის ინდივიდუალურ საკუთრებას.[77]

ისევე როგორც უფლებაუნარიანობა ჩნდება ადამიანის დაბადებით, რიგი უფლებების დაბადებაც საჯარო რეესტრში მისი რეგისტრაციით ხდება. ასე მაგალითად, უძრავ ნივთებზე საკუთრების წარმოშობისათვის მხარეთა შეთანხმება და მისი სანოტარო დამოწმება, რაც აუცილებელი ფორმალობაა უფლების წარმოშობის გზაზე, არაფრის მთქმელი იქნება, თუ არ მოხდება ამ უფლების რეესტრში შეტანა.[78]

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნული უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მისი რეგისტრაცია შესაბამის ორგანოში. რაც აძლევს მეუღლეებს იმის საშუალებას, რომ უფლება-მოვალეობების მთელი რიგი შეასრულონ მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

---

[75]რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2015წ. გვ. 140-141

[76]რ. შეგელია ე. შენგელია „საოჯახო სამართალი“ 2009წ. გვ. 171

[77]შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი თბ. 2004წ. გვ. 191

[78]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი - წიგნი მეორე (სანივთო (ქონებრივი) სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ. 1999წ. გვ. 321

მაგალითად გერმანიის სამოქალქო კოდექსი ითვალისწინებს ქონების მართვას, რომლის მიხედვითაც თითოეული მეუღლე თავისქონებას მართავს დამოუკიდებლად, თუმცა იგი შეზღუდულია თავისი ქონების მართვაში ქვემოთ მოცემული ნორმების თანახმად:

1) მეუღლეს შეუძლია იკისროს მეუღლეთა საერთო ქონების მთლიანად განკარგვის ვალდებულება მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობით. თუ მან ვალდებულება იკისრა მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე, მაშინ მას ვალდებულების შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლე ამაზე თანახმაა.

2) თუ გარიგება შეესაბამება სათანადო მართვის პრინციპებს, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია მეუღლის განცხადების საფუძველზე მეორე მეუღლის თანხმობა შეცვალოს თავისი გადაწყვეტილებით, თუ ეს უკანასკნელი უარს აცახადებს თანხმობაზე საკმარისი საფუძვლის გარეშე ან მას ხელი ეშლება განცხადების გაკეთებაში ავადმყოფობის ან არყოფნის შედეგად, ხოლო დაყოვნებასთან კი დაკავშირებულია რისკი.[79]

კანადის ყველა პროვინციაში ქორწინება ქმნის ეკონომიკურ პარტნიორობას. რომლის ნაყოფი გაიყოფა ცოლ-ქმარს შორის, თუ ისინი გადაწყვეტენ განცალკევებას და განქორწინებას. თუ წყვილი საქორწინო ხელშეკრულებაში სხვაგვარად არ არის შეთანხმებული. საქორწინო ხელშეკრულება წყვილებს საშუალებას აძლევს, უარი თქვან პროვინციულ კანონში საკუთრების შესახებ. საქორწინო ხელშეკრულება სავალდებულოა, რომ შედგენილი და გაფორმებული იყოს კანონიერად სწორად. იმისათვის, რომ სწორად იყოს შედგენილი შეთანხმება, დაცული უნდა იყოს ოთხი მარტივი წესი:

- ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს წერილობით;
- იგი უნდა გაფორმდეს ორივე მხარის მიერ;
- ხელმოწერა უნდა იყოს დამოწმებული;

[79] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (2010წლის 1 მარტის მდგომარეობით) გვ. 249 §1364-1365

● ხელშეკრულების გაფორმებამდე მოლაპარაკებაში უნდა არსებობდეს სრული გულრწფელობა.[80]

ასევე ძალიან საინტერესო ნორმას მოიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სადაც განხილულია მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის დადგენა - მეუღლეებს შეუძლიათ საქორწინო ხელშეკრულებით შეთანხმდნენ, რომ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გაგრძელდება ცოცხლად დარჩენილ მეუღლესა და საერთო შთამომავლებს შორის. თუ მეუღლეები დებენ ასეთ შეთანხმებას, მაშინ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი გაგრძელდება იმ საერთოშთამომავლებთან, რომლებიც კანონით მემკვიდრეობის დროს მოიწვევიან როგორც მემკვიდრეები. მეუღლეთა საერთო ქონებაში გარდაცვლილი მეუღლის წილი არ შედის სამკვიდროს შემადგენლობაში, დანარჩენ შემთხვევებში მეუღლის ქონების მემკვიდრეობით გადაცემა ხდება ზოგადი წესები თანახმად.[81]

მეუღლეთა შორის საქორწინო კონტრაქტით ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მსოფლიოში ცნობილი ტენორის - ლუჩანო პავაროტისა და მისი ყოფილი მეუღლის საქორწინო ხელშეკრულება (მათ ერთად იცხოვრეს 36 წლის მანძილზე), რომლის თანახმადაც თითოეულ მათგანს ინდივიდუალური საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა თითოეულის მიერ ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება.[82]

2.1. საქორწინო კონტრაქტით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1178-ე მუხლი ითვალისწინებს საქორწინო ხელშკერულებით გათვალისწინებული უფლება - მოვალეობათა შეზღუდვას -

[80] Canadian Marriage Contracts By Michael G. Cochrane, LL.B. https://institutedfa.com/Prenuptial-Agreements-Marriage-Contracts-1/?fbclid=IwAR2QELlEvY0N4EQeAECv4koFh5XERnq26ojKIJCfi1tRzZesoU_dWOnURmk

[81] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (მეორე რედაქტირებული გამოცემა) თბ. 2019წ. §1483 (1) გვ. 374

[82] შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი თბ. 2004წ. გვ. 191-192

საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს განსაზღვრული ვადით ანდა ამა თუ იმ პირობების დადგომით.[83]

კანონით რეგულირების დროს არ არის გათვალისწინებული მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების შეზღუდვა. საქორწინო ხელშეკრულებით კი, მეუღლეებს შეუძლიათ თავიანთი ნების გამოვლენის საფუძველზე შეზღუდონ ისინი, ოღონდ ერთი პირობით - ასეთი შემთხვევისათვის საერთო საფუძვლებს განსაზღვრავს კანონი, მათი კონკრეტული რეალიზაცია კი მეუღლეებზეა დამოკიდებული. კანონი ადგენს, რომ საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებელია მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების შეზღუდვა განსაზღვრული დროით ან რომელიმე პირობის დადგომით. სხვა საფუძვლით მათი შეზღუდვა არ შეიძლება.[84]

პროფესორ შენგელიების მოსაზრებით მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობების კანონით რეგულირების დროს არ არის გათვალისწინებული მათი უფლება-მოვალეობის შეზღუდვა. საქორწინო ხელშეკრულებით კი, მეუღლეებს შეუძლიათ თავიანთი ნების გამოვლენის საფუძველზე შეზღუდონ ისინი, ოღონდ ერთი პირობით - შეზღუდვის საფუძვლებს განსაზღვრავს კანონი. მათი კონკრეტული რეალიზაცია მეუღლეებზეა დამოკიდებული.[85]

ხოლო პროფესორი ს. ჯორბენაძეს მოსაზრებით კი საქორწინო ხელშეკრულებას გააჩნია გარკვეული შეზღუდვები, რომლებშიც შეიძლება მოვიაზროთ შემდეგი: ა) შინაარსობრივ ანუ საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული შეზღუდვა - საქორწინო ხელშკერულების ცნების განმმარტავი ნორმა, უპირველეს ყოვლისა საუბრობს აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტის როლზე და მისი დადების შესაძლებლობას მხოლოდ ქონებრივ უფლება-მოვალეობებთან მიმართებით განსაზღვრავს. ბ)

[83] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1178-ე მუხლი https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107

[84]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეხუთე „გამომცემლობა სამართალი“ თბ.2000წ. გვ.137

[85]რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ.2015წ. გვ. 141

ხელშეკრულების მხარის არჩევის თავისუფლების შეზღუდვა; გ) ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების შეზღუდვა[86]

ხელშეკრულების დადებამდე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მეუღლეებმა სწორად გააცნობიერონ პირველ რიგში თუ რას წარმოადგენს საქორწინო ხელშეკრულება და რა სახის უფლება-მოვალეობები შეიძება იქნეს განსაზღვრული.

საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მეუღლეთა შორის პირადი ურთიერთობების რეგულირება (თავდავიწყებამდე უყვარდეთ ერთმანეთი, არავითარ შემთხვევაში არ უღალატონ ერთმანეთს, მეუღლისადმი უღრმესი პატივისცემის ნიშნად მხოლოდ მისი ნათესავების სახელები დაარქვან ბავშვებს და სხვ.). მათგან ისინი, რომლებიც საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების სფეროს განეკუთვნება, უკვე მოწესრიგებულია კანონით და ალტერნატიული რეგულირება არცაა მიზანშეწონილი. დანარჩენი ნაწილი კი ზნეობის სფეროს განეკუთვნება და მათში სამართლებრივი ჩარევა შეუძლებელიცაა.[87]

მნიშვნელოვანია თვით კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებით არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ერთ-ერთ მეუღლეს. უფრო მეტიც, სასამართლოს დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე და პატივსადები მიზეზების არსებობისას შეუძლია შეცვალოს საქორწინო ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც, როგორც უკვე ვთქვით, უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მათგანს.[88]

მეუღლეების უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა მათი ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება მოხდეს და იმის დამადასტურებელია, თუ რა სრულად ქმნის საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი, ახალი პირობების შესაბამისად, მეუღლეთა ნება-სურვილის გათვალისწინების შესაძლებლობას. ვადით შეზღუდვას მაშინ ექნება ადგილი, როცა საქორწინო ხელშეკრულება იდება განსაზღვრული დროით. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, მეუღლეთა მიერ განსაზღვრული ქონებრივი უფლება-მოვალეობები მოქმედებს შესაბამისი ვადით. ამასთან შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც,

[86]ს.ჯორბენაძე „ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში“ თბ.2017წ. გვ. 296-297
[87]რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა) თბ.2009წ. გვ.175
[88]შ.ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2004წ. გვ.199

როცა ვადიან საქორწინო ხელშეკრულებაში ვადასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვაც იქნეს გათვალისწინებული.[89]

მაგალითად შეიძლება მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ მათ შორის დადებული ათწლიანი საქორწინო კონტრაქტის პირველი ხუთი წლის მანძილზე, თითოეულის მიერ მიღებული შემოსავალი მათი ინდივიდუალური საკუთრება იყოს, ხოლო, მეორე ხუთი წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი - საერთო თანაზიარი. ან მაგალითად, მეუღლეებს კონტრაქტით შეუძლიათ გააკეთონ დათქმა, რომ ბავშვის დაბადებამდე მათი ქონება იქნება განცალკევებული, ხოლო დაბადების შემდგომ საერთო, ან პირიქით, და ა.შ.[90]

როგორც აღნიშნულიდან ვხედავთ, კანონი მეუღლეებს ანიჭებს სრულ თავისუფლებას, განსაზღვრონ საკუთარი შეხედულებისამებრ ქონებრივი უფლება-მოვალეობები, მხოლოდ კანონის ფარგლებში, რათა არ მოხდეს რომელიმე მეუღლის უფლებების შეზღუდვა.

პროფესორ შალვა ჩიკვაშვილის მოსაზრებით, დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში დაუშვებელია უფლებათა პირდაპირი და არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და გარემოებათა მიხედვით.[91]

კანონი ზუსტად არ მიუთითებს იმ პირობაზე, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მეუღლეთა ქონებრივ-უფლება-მოვალეობათა შეზღუდვას. ასეთი პირობის განსაზღვრა მეუღლეთა კომპეტენციაში შედის.[92]

მაგალითად გერმანიის კანონმდებლობით თითოეული მეუღლე უფლებამოსილია, დადოს ოჯახის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი

---

[89]რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2015წ. გვ. 141
[90]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ.2010წ. გვ. 95
[91]შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ 2004წ. გვ. 98
[92]რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა) თბ.2009წ. გვ.184

გარიგებები, რომელთა სამართლებრივი შედეგებიც დგება ასევე მეორე მეუღლისთვისაც. ასეთი გარიგებებით უფლებამოსილი ან ვალდებული ხდება ორივე მეუღლე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარემოებებიდან სხვა რაიმე გამომდიანრეობს. მეუღლეს შეუძლია შეზღუდოს ან გამორიცხოს მეორე მეუღლის მიერ იმ გარიგებების დადების უფლებამოსილება, რომელთა სამართლებრივი შედეგებიც დგება მის მიმართ; თუ სახეზე არ არის უფლებამოსილების შეზღუდვის ან გამორიცხვის საკმარისი საფუძველი, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლომ განცხადების საფუძველზე უნდა გააუქმოს იგი. [93] მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი არ შეიძლება დადგინდეს იმ სამართალზე მითითებით, რომელიც უკვე აღარ მოქმედებს, ან უცხო ქვეყნის სამართალზე.[94]

2.2 მოვალეობები რომლის შეცვლაც საქორწინო ხელშეკრულებით დაუშვებელია

კანონმდებელი პირდაპირ მიგვითითებს მოვალეობებზე, რომლის შეცვლაც საქორწინო ხელშეკრულებით დაუშვებელია:

1) საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა;

2) მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი;

3) დავის შემთხვევაში სასამართლოში მიმართვის უფლება. ხელშეკრულებით ასევე არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს.[95]

პროფესორ შ. ჩიკვაშვილის მოსაზრებით მეუღლეთა შორის საქორწინო ურთიერთობა აუცილებლად გულისხმობს ერთმანეთისადმი მატერიალური

[93] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (მეორე რედაქტირებული გამოცემა) თბ.2019წ. გვ. 346 §1357 (1) (2)
[94] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (მეორე რედაქტირებული გამოცემა) თბ. 2019წ. გვ. 357 §1409
[95] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1179-ე მუხლი https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107

დახმარების აღმოჩენის მოვალეობასაც. ცხადია, ნორმალური ურთიერთობების პირობებში მეუღლეებიმატერიალურად ეხმარებიან ერთმანეთს არა კანონის ძალით, არამედ იმ ზნეობრივი პრინციპების შესაბამისად, რასაც ზოგადად ემყარება ოჯახი.[96]

სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგვიდგენს კანონმდებელი, რომ მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა არ შეიძება საქორწინო ხელშეკრულების დადებისას შეიცვალოს.

საქორწინო ხელშეკრულება რეგულირების შესაძლებლობით მოიცავს მეუღლეთა შორის არსებულ ქონებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა სფეროს. მეუღლეთა ქონების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებულია მათ ნება-სურვილზე. ამ სფეროში კანონის მხრიდან არავითარი შეზღუდვა არ არსებობს. რაც შეეხება მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობათა სხვა სახეებს, მათ მიმართ კანონი განსაზღვრულ სიფრთხილეს იჩენს, რაც მეუღლეთა და ოჯახის სხვა წევრთა ინტერესების დარღვევის თავიდან აცილების მიზნითაა განპირობებული. ეს სფერო ძირითადად მოიცავს მეუღლეთა ქონებრივ ვალდებულებებს და ზოგიერთ მათთან დაკავშირებულ უფლებას. კერძოდ, საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება მეუღლეთა სურვილის მიხედვით შეიცვალოს კანონით დადგენილი ურთიერთრჩენის მოვალეობა, რადგან მის შეცვლას ყოველთვის შეიძლება მოჰყვეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივეს მატერიალური მდგომარეობის გაუარესება.[97]

პროფესორ რომან და ეკატერინე შენგელიების მოსაზრებით არ შეიძლება მშობლები შეთანხმდნენ იმაზე, რომ შვილები მხოლოდ ერთ-ერთმა მეუღლემ არჩინოს და აღზარდოს, ხოლო მეორე საერთოდ გათავისუფლდეს მშობლიური უფლებამოსილებისგან, არ შეიძლება მეუღლეთა შეხედულებით შეიცვალოს საალიმენტო ვალდებულებანი არა მარტო ერთმანეთის ან შვილების მიმართ, არამედ სხვა პირთა მიმართაც. არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, მხარეთა შორის დავის შემთხვევაში, მის გადასაწყვეტად სასამართლოსადმი მიმარტვის კანონით განსაზღვრული უფლების შეცვლა, რადგან ეს ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა

[96] შ. ჩიკვაშვილი - საოჯახო სამართალი (გამომცემლობა მერიდიანი) თბ. 2004წ. გვ. 206
[97]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეხუთე - გამომცემლობა „სამართალი თბ.2000წ. გვ. 139

შესახებ კონსტიტუციურ პრინციპებსა და დებულებებს. კანონი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება ისეთი პირობების გათვალისწინება, რომელიც მძიმე მატერიალურ და ზნეობრივ მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს.[98]

2.3 საქორწინო კონტრაქტი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება

ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია საოჯახო სამართლებრივი გარიგებების როლი. მათ, უწინარეს ყოვლისა, განეკუთვნება დაქორწინება, საქორწინო კონტრაქტი (თუმცა ეს უკანასკნელი ძალიან ჰგავს ვალდებულებით სამართლებრივ გარიგებას).[99]

პროფესორ გ. ხუბუას მოსაზრებით ხელშეკრულება გარიგების ერთ-ერთი მეტად გავრცელებული სახეა. საკანონმდებლო აქტებისაგან განსხვავებით, რომლებიც თავისთავად არ წარმოშობენ ურთიერთობებს პირთა შორის, ხელშეკრულების დადება იწვევს კონკრეტული ურთიერთობის წარმოშობას ორ ან მეტ სუბიექტს შორის. ხელშეკრულების მონაწილეთა ურთიერთობა თანასწორუფლებიანობაზეა დაფუძნებული და ისინი არ ექვემდებარებიან ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, ფიზიკური პირები არიან ისინი, იურიდიული პირები, სახელმწიფო თუ სხვა.[100] თანასწორობა სამართლის ფუძემდებლური პრინციპია.[101]

პროფესორ შ.ჩიკვაშვილის მოსაზრებით კი სამართლებრივი ბუნებით, საქორწინო ხელშეკრულება, სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშკერულებას წარმოადგენს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმ სპეციფიკური, მხოლოდ მოცემული ტიპის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ნიშნების არარსებობას, რომელნიც საშუალებას იძლევა განვასხვაოთ ეს აქტი სხვა დანარჩენი სამოქალაქოსამართლებრივი გარიგებებისაგან. საქორწინო ხელშეკრულების განსაკუთრებული ნიშნების არსებობა განპირობებულია მოცემული

[98]რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა) თბ.2009წ. გვ.185/186
[99] ლ. ჭანტურია - შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში თბ. 2000წ. გვ. 322
[100]ზ.ახვლედიანი „ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა) თბ. 1999წ. გვ. 10
[101]გიორგი ხუბუა „სამართლის თეორია“ (გამომცემლობა მერიდიანი) თბ. 2004წ. გვ. 75

შეთანხმების განსაკუთრებული სუბიექტური შემადგენლობითა დაოჯახურ ურთიერთობათა სპეციფიკით.[102]

საქორწინო ხელშეკრულება ფუნდამენტალურად განსხვავდება კომერციული ხელშეკრულებისაგან. რადგან ის ქმნის სტატუსს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც თავად მხარეებზე, ასევე საზოგადოებაზე, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან.[103]

პროფესორ შ.ჩიკვაშვილის მოსაზრებით საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებაა, მიმართული მეუღლეთა ქონების სამართლებრივი რეჟიმის შესაცვლელად დადგენილ კანონთან შედარებით. ხელშეკრულების ამ ტიპის სპეციფიკურ თვისებებს განეკუთვნება მისი სუბიექტური შემადგენლობა, რადგანაც საქორწინო ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია როგორც ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციამდე, ასევე ნებისმიერ დროს რეგისტრაციის შემდეგ, საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტები შეიძლება იყვნენ როგორც მეუღლეები, ასვე ის პირები, რომელთაც განზრახული აქვთ დაქორწინება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციის დღიდან შედის კანონიერ ძალაში.[104]

ხოლო პროფესორ რომან და ეკატერინე შენგელიების მოსაზრებით საქორწინო ხელშეკრულება თუ კანონისაგან განსხვავებულად არეგულირებს მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებს, პრიმატი ხელშეკრულებას ეკუთვნის. ასეთ დროს საქორწინო ხელშეკრულება ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების სპეციალურ წყაროდ უნდა ჩაითვალოს.[105]

ქორწინების პერიოდში მეუღლეებმა შეიძლება სხვადასხვა დროს შეიძინონ ესა თუ ის ქონება. მათ უფლება აქვთ არაერთგვაროვანი სტატუსი განუსაზღვრონ თითოეულ მათგანს. ამიტომ სავსებით შესაძლებელია მეუღლეთა შორის დაიდოს რამდენიმე ხელშეკრულება როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შესაძენ ქონებაზე. ამასთან, მათ უფლება აქვთ მხედველობაში არ მიიღონ კანონის მიერ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის დადგენილი რეჟიმი და საკითხი გადაწყვიტონ თავიანთი

[102]შ. ჩიკვაშვილი საოჯახო სამართალი (გამომცემლობა მერიდიანი) თბ.2004წ. გვ 185
[103]PRIVATE INTERNATIONAL LAW (FIFTEENTH EDITION) – OXFORD UNIVERSITY PRESS 891.
[104]შ. ჩიკვაშვილი საოჯახო სამართალი (გამომცემლობა მერიდიანი) თბ.2004წ. გვ 193
[105]რ. შენგელია ე. შენგელია საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა) გამომცემლობა მერიდიანი თბ.2009წ. გვ 181

შეხედულებისამებრ. მაგალითად, შესაძლებელია საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნეს ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების არათანაბრად გაყოფა ან თითოეული მატგანის მიერ საერთო საოჯახო მიზნებისატვის შეძენილი ქონების ჩათვლა შემძენის ინდივიდუალურ საკუთრებად.[106]

პროფესორი შ. ჩიკვაშვილი გადმოგვცემს, რომ საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ერთ-ერთი სახეობაა, მაგრამ სუბიექტების იმ წრის შედარებისას, რომელნიც სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებებს დებენ, სუბიექტთა იმ წრესთან, რომელთაც საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების უფლება აქვთ, მნიშვნელოვანი განსხვავება იჩენს თავს. საქორწინო ხელშეკრულების გაფორმება შეუძლიათ მხოლოდ იმ მოქალაქეებს, რომელთაც მიაღწიეს საქორწინო ასაკს, ანუ 18 წელს.[107]

ვეთანხმებით პროფესორ ჩიკვაშვილის მოსაზრებას, ვინაიდან როდესაც საქორწინო ხელშეკრულებას განვიხილავთ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ჭრილში, აუცილებლად დავინახავთ უპირველეს განსხვავებას, რომელსაც წარმოადგენენ მისი სუბიექტები.

პროფესორი გ. თუმანიშვილის გადმოცემით საქორწინო კონტრაქტი, როგორც საოჯახო სამართლებრივი გარიგების და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების ურთიერთმიმართების საკითხი უპირველესყოვლისა დაკავშირებულია საოჯახო სამართლის ადგილის განსაზღვრის აზრთა სხვადასხვაობასთან. ერთნი მიიჩნევენ , რომ საოჯახო სამართალი არის სამოქალაქო სამართლის შემადგენელი ნაწილი და ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით საქორწინო კონტრაქტს ანიჭებენ მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების ხასიათს. ავტორთა მეორე ნაწილი თვლის, რომ საოჯახო სამართალი სამართლის დამოუკიდებელი დარგია, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტზე, მისი საოჯახო სამართლებრივი დახასიათების თვალსაზრისით.[108]

---

[106]რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2015წ. გვ. 139

[107]შ. ჩიკვაშვილი საოჯახო სამართალი (გამომცემლობა მერიდიანი) თბ.2004წ. გვ 194

[108]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ.18

III თავი, საქორწინო კონტრაქტის შეცვლის, შეწყვეტის

და ბათილად ცნობის საფუძვლები

საქორწინო ხელშეკრულება, ისე როგორც ნებისმიერი შეთანხმება მხარეთა შორის, ნებელობითი აქტია. ამიტომ მისი დადებაცა და შეწყვეტაც მეუღლეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომაა მითითებული სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლში იმის შესახებ, რომ საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ ურთიერთშეთანხმების საფუძველი შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივე მათგანის ფიზიკური ან მატერიალური მდგომარეობის შეცვლა (ხანგრძლივი ავადმყოფობა, შრომის უნარის დაკარგვა, უმუშევრობა და სხვ.). [109]

პროფესორ შ. ჩიკვაშვილის მოსაზრებით კანონით გათვალისწინებული დაქორწინების პირობები გამომდინარეობს ქორწინების არსიდან და დანიშნულებიდან. მათი დაცვა აუცილებელია იმისათვის, რომ ქორწინებას მიენიჭოს, სამართლებრივი ძალა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, ვინაიდან ქორწინების პირობების ქვეშ საოჯახო სამართლის მეცნიერებაში იგულისხმება გარემოებები, რომლებიც აუცილებელია ქორწინების რეგისტრაციისა და ნამდვილად ცნობისათვის. [110]

პროფესორ გ. თუმანიშვილის მოსაზრებით კანონმდებელი იმპერატიული ხასიათის ნორმით კრძალავს საქორწინო კონტრაქტის ცალმხრივ, თვითნებურ მოშლას რომელიმე ერთი მხარის მიერ. მეუღლეები ვალდებულნი არიან შეატყობინონ თავის კრედიტორებს საქორწინო კონტრაქტის დადების, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალე მეუღლე, თუ კრედიტორთან ურთიერთობისას წამოიჭრა ქონებრივი დავა, ვერ დაეყრდნობა საქორწინო კონტრაქტს და მასში არსებულ

---

[109] რ. შენგელია ე. შენგელია საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა) გამომცემლობა მერიდიანი თბ.2009წ. გვ187

[110] შ. ჩიკვაშვილი საოჯახო სამართალი (გამომცემლობა მერიდიანი) თბ.2004წ. გვ 78

სამართალმდგომარეობებს, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია (შესაძლო) კრედიტორთან ურთიერთობის საკითხები.[111]

ასევე გერმანიის კანონმდებლობით მეუღლეებს შეუძლიათ თავიანთი ქონებრივი ურთიერთობები მოაწესრიგონ ხელშეკრულებით (საქორწინო ხელშეკრულება) , კერძოდ კი, გააუქმონ ან შეცვალონ ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი ქორწინების გაფორმების შემდეგაც კი.[112]

აღნიშნულიდან გამომდინარე ვხედავთ, რომ საზღვარგარეთის კანონმდებლობაც ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულების შეცვლის რეჟიმს, ქორწინების გაფორმების შემდეგაც კი. ეს ფაქტი კი მეტყველებს მეუღლეთა უფლებების სრულ თავისუფლებაზე.

3.1 საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა სასამართლოს მიერ

არის შემთხვევები, როდესაც დაინტერესებული მხარე განცხადებით მიმართავს სასამართლოს საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეცვლის თაობაზე. ასეთებს განეკუთვნება: პირობები რომელთა გათვალისიწინებაც ვერ შეძლეს მეუღლეებმა (ან დასაქორწინებელმა პირებმა) საქორწინო ხელშეკრულების დადებისას; იმ გარემოებათა შეცვლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მისი დადების პერიოდისათვის.[113]

სასამართლოს მიერ საქმის განხილვა სამოქალაქო პროცესის განსაკუთრებული, მთავარი სტადიაა.[114]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1179-ე მუხლი მიგვითითებს სასამართლოს მიერ საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე: დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე პატივსადები მიზეზებოს არსებობისას, სასამართლოს

[111]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ. 99
[112]გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (მეორერედაქტირებული გამოცემა) §1408 გვ. 357
[113]შ. ჩიკვაშვილი საოჯახო სამართალი (გამომცემლობა მერიდიანი) თბ.2004წ. გვ 199
[114]ა. კობახიძე „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ (გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“) თბ. 2003წ.

შეუძლია შეცვალოს საქორწინო ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს.[115]

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დადებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს პირობები, რომლებიც არ შეზღუდავს რომელიმე მეუღლის უფლებებს. თუმცა კანონმდებლის მხრიდან აღნიშნული ნორმა მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს, რადგან თითოეული მეუღლის უფლება სრულადაა დაცული საქორწინო ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში

პროფესორ რომან და ეკატერინე შენგელიების გადმოცემით სამოქალაქო კოდექსის 1179-ე მუხლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება ისეთი პირობების გათვალისწინება, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს, სავალდებულოა ხელშეკრულების დამდები ორივე მხარისათვის. როცა ეს მოთხოვნა არ სრულდება, შეიძლება იგი ხელშეკრულების შეწყვეტის (როცა პირობა დგება ხელშეკრულების დადებიდან განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ) ან გაბატილების (თუ ხელშეკრულება მხოლოდ ასეთ პირობებზეა აგებული) საფუძველი გახდეს. ასეთი მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით კანონი ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულების შესრულების პროცესში სასამართლოს აქტიურ ჩარევას. კერძოდ, დაინტერესებული მეუღლის თხოვნის საფუძველზე სასმართლოს შეუძლია შეცვალოს ის პირობები, რომელთა შესრულებაც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მას. ამისათვის სასამართლოს უნდა გააჩნდეს პატივსადები მიზეზები. ასეთია, მაგალითად, ბავშვის დაბადებამდე ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორესათვის ავტომანქანის ყიდვა თავისი მშობლების ხარჯზე, ერთ-ერთი მეუღლის მიერ შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, მისი ინდივიდუალური საკუთრების ყველა მნიშვნელოვანი ღირებულების ნივთის გადასვლა მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში და სხვ.[116]

3.2 საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა

[115] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 1179
https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107
[116] რ. შენგელია ე. შენგელია საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა) გამომცემლობა მერიდიანი თბ.2009წ. გვ186

შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლის მდგომარეობის შეცვლამ გამოიწვიოს ხელშეკრულების შეწყვეტა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს შესაძლებელი იყოს ცალმხრივი უარის საფუძველზე საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტა. ცალმხრივი უარი ასეთ შემთხვევაში შეიცავს მეორე მეუღლის მძიმე მდგოამრეობის უარყოფითი გავლენისაგან საკუთარი ქონებრივი ინტერესების დაცვის ცდას. ასეტ დროს მეუღლეები უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების შეწყვეტაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო გახდება არახელსაყრელ პირობებში მყოფი მეუღლის ინტერესების დაცვა.[117]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლი პირდაპირ მიგვითითებს იმ ნორმებზე, თუ რა შემთხვევაში ხდება საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა:

1. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით;
2. ცალმხრივი უარი ხელშეკრულების შეწყვეტაზე დაუშვებელია;
3. საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისას.[118]

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსი განიხილავს საქორწინო კონტრაქტს, როგორც ჩვეულებრივი ხასიათის გარიგებას და ამრიგად ავრცელებს მასზე გარდა კანონით დადგენილი სპეციალური საფუძვლებისა ასევე გარიგებების შეწყვეტის საერთო საფუძვლებს. საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტის კანონით დადგენილი საფუძვლებია: 1) მეუღლეთა ურთიერთშეთანხმება; 2) განქორწინება; 3) კონტრაქტის ვადის გასვლა.[119]

პროფესორი რომან და ეკატერინე შენგელიების მოსაზრებით საქორწინო ხლეშეკრულების შეწყვეტის გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს განქორწინება. შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყოს თანაზიარი საკუთრების

[117] რ. შენგელია ე. შენგელია საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა) გამომცემლობა მერიდიანი თბ.2009წ. გვ 187
[118] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1180 მუხლი https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107
[119] გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ. 101

განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისათვის. ხელშეკრულება შეწყდება აღნიშნული წესის შესრულების შემდეგ.[120]

თუმცა სამართლის დოქტორი გ. თუმანიშვილი ვერ მიიჩნევს სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულად, საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტის საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლში მოცემულ ფორმულირებას - „საქორწინო კონტრაქტი წყდება განქორწინებისას“. გასაგებია კანონმდებლის მიდგომა ამ საკითხთან მიმართებაში. კანონმდებელი საქორწინო კონტრაქტის მოქმედებას უკავშირებს მხოლოდ ქორწინების და განქორწინების რეგისტრაციის იურიდიულ ფაქტს. ამ მიდგომის სიბრტყეში, სრულიათ უგულველყოფილია საქორწინო კონტრაქტის სპეციფიკა. კერძოდ, საქორწინო კონტრაქტისათვის დამახასიათებელი თვისება, რომ ის იწყებს თავის „აქტიურ მოქმედებას“, და საერთოდ, მისი არსებობის საჭიროების სრულფასოვანი აღქმა, მისი მნიშვნელობა და შესაძლებლობანი თავს იჩენს განქორწინების იურიდიული ფაქტის დადგომისას და მის შემდეგ.[121]

საფუძვლიანად ვთვლით სამართლის დოქტორ გ. თუმანიშვილის მოსაზრებას. საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად არ შეიძლება მივიჩნიოთ მეუღლეთა განქორწინება, რადგან როგორც ავღნიშნეთ მეუღლეები საკუთარი სურვილისამებრ ირჩევენ ხელშეკრულების შინაარსს, ამიტომ შესაძლებელია მასში გათვალისწინებული იყოს ის უფლება-მოვალეობანი რომელიც განქორწინების შემდგომაც რჩება შესასრულებელი. აქედან გამომდინარე სწორად ვერ ჩავთვლით კანონმდებლის პოზიციას.

გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სასამართლოს მიერ მეუღლეთა შორის ქონებრივი დავა განქორწინების საქმესთან ერთად იხილება. სხვა შემთხვევაში მეუღლეებს განქორწინების იურიდიული ფაქტის დადგომის შემდგომ სამი წლის განმავლობაში აქვთ უფლება დააყენონ თავიანთი ქონებრივი მოთხოვნები და მოსთხოვონ მეორე მხარეს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ზემომოყვანილი კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ავღნიშნო,

---

[120]რ. შენგელია ე. შენგელია საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა) გამომცემლობა მერიდიანი თბ.2009წ. გვ 187

[121]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010 წ. გვ. 101

რომ საქორწინო კონტრაქტი სამართლებრივად შეწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს, მხოლოდ იმ მომენტის დადგომისას, როდესაცსაქორწინო კონტრაქტში გათვალისწინებული პიროებები (ვალდებულებები) შესრულდება სრულად.[122]

იმ შემთხვევაში, როცა საქორწინო ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით იყო დადებული, ამ ვადის გასვლა იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა სახეზე მეუღლეთა ურთიერთშეთანხმება. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მათ შეუძლიათ ახალი საქორწინო ხელშეკრულების დადება.

3.3 საქორწინო ხელშეკრულების ბათილად ცნობა

შესაძლებელია საქორწინო ხელშეკრულების გაბათილებაც. ამის საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით საქორწინო ხელშეკრულებისათვის დადგენილი აკრძალვების გაუთვალისწინებლობა. აუცილებლად უნდა გაბათილდეს, მაგალითად, ისეთი საქორწინო ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებულია უარის თქმა ურთიერთრჩენის მოვალეობაზე, საალიმენტო მოვალეობის შესრულებაზე ,სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაზე და სხვ.[123]

პროფესორ შ. ჩიკვაშვილის მოსაზრებით შესაძლებელია საქორწინო ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შემდეგ შემთხვევებში: საქორწინო კონტრაქტის დადება პირთან, რომელიც იმ მომენტში ვერ აცნობიერებდა თავისი ქმედების მნიშვნელობას, თუმცა ქმედუნარიანად ითვლება.ასეთი კონტრაქტი შეიძლება აღიარებულ იქნეს ბათილად იმ მეუღლის სარჩელის საფუძველზე, რომლის უფლებები და კანონიერი ინტერესები იქნება დარღვეული მის მიერ საქორწინო კონტრაქტის დადებისას (სიმთვრალე, ავადმყოფური მდგომარეობა). [124]

---

[122]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ. 102

[123]რ. შენგელია ე. შენგელია საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა) გამომცემლობა მერიდიანი თბ.2009წ. გვ 188

[124] შ. ჩიკვაშვილი - საოჯახო სამართალი (გამომცემლობა მერიდიანი) თბ.2004წ. გვ. 203

პროფესორ რომან და ეკატერინე შენგელიების მოსაზრებით მეუღლეებს გააჩნიათ თანაზიარი საკუთრების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის თანაბარი უფლებები.ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს რომელიმე მეუღლის, როგორც მესაკუთრის უფლებამოსილებათა რაიმე ფორმით შეზღუდვას, ბათილად უნდა ჩაითვალოს, რადგან ეწინააღმდეგება კანონის იმერატიულ დებულებას მეუღლეთა უფლებების თანაბრობის შესახებ. ერთ-ერთი მეუღლის მოქმედება, მიმართული თანაზიარი საკუთრების მართვის ან განკარგვის მიზნით, იმავდროულად ითვლება მეორე მეუღლის ნების გამოვლენადაც.[125]

საქორწინო კონტრაქტი ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი იმავე საერთო წესის მიხედვით, რომელიც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ზოგადი გარიგებებისათვის.

1. ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია ერთი მხარის მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით;
2. ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს;
3. ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მიერ;
4. ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია სულით ავადმყოფის მიერ, თუნდაც ის არიყოს სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული;
5. ბათილია კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული საქორწინო კონტრაქტი;
6. ბათილია მოტყუებით დადებული საქორწინო კონტრაქტი;
7. ბათილია იძულებით დადებული საქორწინო კონტრაქტი.[126]

---

[125]რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ (გამომცემლობა მერიდიანი) თბ. 2015 წ. გვ. 119

[126]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ. 102-103

საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ ძირითადად, მეუღლეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხდება, მისი გაბათილება სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.[127]

ამგვარად, საქორწინო ხელშეკრულების შედგენამდე, ხელმოწერამდე ან დამოწმებამდე, ნოტარიუსმა გარიგების ბატილად ცნობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებლად უნდა გაარკვიოს, აცნობიერებს თუ არა პირი, რომელიც საქორწინო ხელშეკრულებას დებს, თავისი ქმედებების მნიშვნელობას, მართავს თუ არა იგი მათ, ხომ არ ცდება ხელშეკრულების გაფორმებისას, ხომ არ მოქმედებს მოტყუების, ძალდატანების ან მუქარის ზეგავლენით, ხელშეკრულების ერთი მხარის მეორესთან ბოროტგანზრახული მოლაპარაკების ან მძიმე გარემოებათა დამთხვევის შედეგად, ასევე ნოტარიუსი ვალდებულია გაარკვიოს, ხომ არა აქვს ადგილი რაიმე სხვა გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც სამოქალაქო კოდექსის 1179-1180-ე მუხლების თანახმად, გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს.[128]

საქორწინო კონტრაქტი სომხეთში ფორმის დაცვით ჩაითვლება დადებული, თუ იგი შედგენილია იმ ქვეყნის სამართლის მოთხოვნათა დაცვით, სადაც იგი დაიდო. ამავდროულად, სხვა სახელმწიფოში დადებული საქორწინო კონტრაქტი არ შეიძლება ჩაითვალოს ბათილად ფორმის დაუცველობის მოტივით, თუ იგი შეესაბამება სომხეთის რესპუბლიკის სამართლის მოთხოვნებს საქორწინო კონტრაქტის ფორმასთან დაკავშირებით. სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით გამოსაყენებელი სამართლის არჩევის საკითხი სომხეთის საერთაშორისო კერძოსამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით ითვალისწინებს სამართლის არჩევის შესაძლებლობას, როგორც მთლიანად საქორწინო კონტრაქტისათვის, ისე მისი თითოეული შემადგენელი ნაწილისათვის. არჩეული სამართლის მოქმედება ვრცელდება: კონტრაქტის განმარტების, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, კონტრაქტის შესრულების,

[127]რ.შენგელია ე.შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ (გამომცემლობა მერიდიანი) თბ.2015წ. გვ.144
[128]შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი თბ. 2004წ. გვ. 186

არასათანადო შესრულების ან შეუსრულებლობის, შეწყვეტის და კონტრაქტის ბათილობის შედეგების მიმართ. [129]

საქორწინო კონტრაქტის ფორმის საკითხთან დაკავშირებით ესპანეთის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ კონტრაქტი ფორმის დაცვით ითვლება დადებული, თუ იგი შეესაბამება იმ ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს კონტრაქტის ფორმის შესახებ რომელშიც (სადაც იგი უშუალოდ დაიდო.[130]

IVთავი - საქორწინო კონტრაქტი

საერთაშორისო კანონმდებლობაში

თანამედროვე მსოფლიოს ხალხების ცხოვრებისეულ ურთიერთობათა ინტერნაციონალიზაციამ განაპირობა იმ სამართლის დარგების სწრაფი განვითარება, რომელნიც მოწოდებული არიან ე.წ. „უცხო ელემენტით დატვირთული“ სამართლებრივი ურთიერთობები მოაწესრიგონ. ამგვარი უცხო ელემენტით დატვირთული ურთიერთობები კი შეიძლება უამრავი იყოს.[131]

საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს უდიდესი როლი უკავია სკს-ში. ამას პირველ ყოვლისა, განაპირობებს თავად სკს-ის ბუნება - ის არეგულირებს საერთაშორისო ტიპის კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს. სწორედ ამის გამო იყო, რომ სკს-ს დოქტრინაში მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა განავითარა მცდარი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სკს-ი საერთაშორისო სამართლის შემადგენელი ნაწილი იყო.[132]

სამართლის დოქტორი ლია ჭიღლაშვილის მოსაზრებით არ იქნება ინტერეს მოკლებული თუ ზოგადად მიმოვიხილავთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რა ფორმის ქორწინებებია უპირატესი. მათგან გამოვყოფთ სამ ძირითად ჯგუფს:

---

[129]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ. 147
[130]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ. 161
[131]ზ. გაბისონია „ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი (გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბ.2016წ. გვ.30
[132]ზ. გაბისონია „ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი (გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბ. 2016წ. გვ. 44

1. სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრირებული ქორწინება, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.

2. ალტერნატიული საფუძვლით დადებული ქორწინება. ამ ფორმას მიეკუთვნება ქვეყნები, სადაც გათანაბრებულია, როგორცსახელმწიფო ორგანოებში, ისე საეკლესიო წესით რეგისტრირებული ქორწინება.

3. ქორწინების მხოლოდ საეკლესიო ფორმა.[133]

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა საქორწინო ხელშეკრულების მიმართ გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება, მისი არსი მაინც ერთია: მეუღლეთა მიერ ქორწინების შემთხვევაში იმ ქვეყნის მატერიალური სამართლის ნორმების შეცვლა, რომელიც მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მიმართ ავტომატურ რეჟიმში იწყებენ მოქმედებას ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.[134]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში კოლიზიურ სამართალში არსებობს მიდგომათა სიმრავლე. ამავე დროს საზღვარგარეთის სახელმწიფოების კოლიზიურ სამართალს შორის, საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში შეიმცნევა ერთგვარი მსგავსება, მიდგომების კონცეპტუალური არსის ერთ ძირითად კალაპოტში მოთავსების მცდელობა, ზოგ შემთხვევაში კი პირდაპირი ანალოგია, რაც ყველაზე მეტად დამახასიათებელია იმ სახელმწიფოების კოლიზიური სამართლისათვის, რომლებიც ეკუთვნიან ეგრედ წოდებულ „პოსტ-კომუნისტურ“ სივრცეს. [135]

ცალკე გამოყოფენ აგრეთვე იმ ქვეყნებს, რომლებიც ქორწინების წესისა და პირობების მიმართ იყენებენ სპეციალურ მიმაგრების ფორმულას - ქორწინების წესის შესრულების ადგილის კანონი (lex loci celebrationis).[136]

---

[133] ლ. ჭიღლაშვილი - ქორწინების ფორმების ზოგადი მიმოხილვა http://old.gruni.edu.ge/uploads/content_file_1_1908.pdf

[134]ზ. გაბისონია „ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი(გამომცემლობა ‘იურისტების სამყარო“) თბ.2016 წ.გვ. 340

[135]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ. 153-154

[136] ზ. გაბისონია ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი თბ. 2016წ. გვ. 340

პროფესორ გ. თუმანიშვილის გადმოცემით 1978 წლის 15 ივნისს ავსტრიაში მიღებულ იქნა (ხოლო ძალაში შევიდა 1979 წლის 1 იანვარს) ფედერალური კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. ეს კანონი იცნობს რა საქორწინო კონტრაქტის ინსტიტიტს §19 -ში განსაზღვრავს, რომ: იმ ქონების მიმართ რომელიც შეძენილია ქორწინების პერიოდში გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც მხარეებმა აირჩიეს საქორწინო კონტრაქტის დადებისას.[137]

ინგლისის საერთაშორისო კერძო სამართალი არ არის კოდიფიცირებული რომელიმე ერთ ნორმატიულ აქტში. მიუხედავად ამ გარემოებისა, ინგლისის სამართალში არსებობს რამდენიმე ათეული ნორმატიული აქტი, რომელიც ეძღვნება კანონთა კოლიზიის საკითხს. განსახილველ პრობლემატიკასთან დაკავშირებით ინგლისის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობა არაფერს ამბობს, იგი არ იცნობს საქორწინო კონტრაქტის ცნებას და ასევე არ საუბრობს მეუღლეთა იმ ქონებრივ ურთიერთობებზე, რომელნიც შეიცავენ უცხოურ ელემენტს.[138]

უნგრეთის საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგეს 1979 31 მაისის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომელიც ძალაშ შევიდა 1979 წლის 1 ივლისს. ავსტრიის საერთაშორისო კერძ სამართლის შესახებ კანონის შემდეგ ეს ბრძანებულება გვევლინება როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტი საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებზე. ზემოაღნიშნული ბრძანებულება იცნობს საქორწინო კონტრაქტის ცნებას.[139]

ვენესუელის კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ მიღებულ იქნა 1998 წლის 6 აგვისტოს, ხოლო ძალაში შევიდა 1999 წლის 6 თებერვალს. ამ კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, ქორწინების ქონებრივი შედეგების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი განისაზღვრება მეუღლეთა საერთო საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის სამართლით, ხოლო თუ მეუღლეებს აქვთ სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი, მაშინ მათი უკანასკნელი საერთო საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის სამართლის მიხედვით.[140]

---

[137] გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ 154
[138] გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ 155-156
[139] გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ 156
[140] გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ 157

გერმანიაში ყოველი წყვილი ქორწინების რეგისტრაციამდე დებს საქორწინო ხელშეკრულებას. ეს გამოწვეულია მათი ცხოვრების დონით და სოციალური მდგომარეობით. ყოველი მოქალაქის უკან დგას საკმაოდ ღირებული უძრავი თუ მოძრავი ქონება, რომლის საერთო წესით გაზიარება თუნდაც მეუღლისათვის მიუღებელია. ვინც ადრეულ ასაკში ქორწინდება არ დებს კონტრაქტს, ვინაიდან მათ ჯერ არ გააჩნიათ სერიოზული კაპიტალი.[141]

გერმანიაში საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმების უმრავლესობა თავმოყრილია გერმანული სამოქალაქო სჯულდების შესავალი კანონის მეორე თავში. აღნიშნული თავის მეთხუთმეტე მუხლის მიხედვით მეუღლეებს აქვთ უფლება აირჩიონ მათი ქონებრივი ურთიერთობების მიმართ იმ ქვეყნის სამართალი რომლის მოქალაქეც არის ერთ-ერთი მეუღლე, ასევე იმ ქვეყნის სამართალი რომელ ქვეყანაშიც ერთ-ერთი მეუღლე, ასევე იმ ქვეყნის სამართალი რომელ ქვეყანაშიც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან თუ ურთიერთობა ეხება უძრავ ქონებას ამ ქონების ადგილმდებარეობის ქვეყნის სამართალი.[142]

ესპანეთის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობის, კერძოდ კი სამოქალაქო კოდექსის შესავალი ტიტულის მეცხრე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, შეთანხმებები ან საქორწინო კონტრაქტები, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება ან იცვლება ქორწინების ქონებრივი რეჟიმი, ნამდვილად ითვლება, თუ, ისინი, კონტრაქტის ან შეთანხმების შეთანხმების მომენტისათვის შესაბამისობაში იმყოფებიან ქორწინების შედეგების განმსაზღვრელი ქვეყნის სამართალთან ან მხარეების მოქალაქეობის ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის სამართალთან.[143]

პორტუგალიაში მოქმედი საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები მრავალ საკითხს ეხება, მათ შორის ჩვენს მიერ განსახილველს - საქორწინო კონტრაქტს. სამოქალაქო კოდექსის 49-ე მუხლი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, იმ

[141]ნ. გადელია „საქორწინო ხელშეკრულების (კონტრაქტის) აქტუალური საკითხები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“ 2009 წ. გვ. 36
[142]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ 158
[143]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ 161

გარემოების გამო, რომ იგი ეხება არამარტო დაქორწინების პირობებს, არამედ, საქორწინო კონტრაქტის დადების შესაძლებლობას.[144]

დასკვნა

როგორც ნაშრომმა ცხადყო, საქორწინო ხელშეკრულება გახლავთ ოჯახის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი და საჭირო ინსტიტუტი. იგი საშუალებას აძლევს თითოეულ მეუღლეს, რომ სურვილისამებრ განკარგოს საკუთარი ქონებრივი უფლება-მოვალეობები. რომელიც დაეხმარებათ შემდგომ შესაძლო პრობლემების თავიდან აცილებაში. შევეცადეთ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობასთან შედარებით

[144]გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) თბ. 2010წ. გვ 162-163

წარმოგვედგინა აღნიშნული ინსტიტუტის დადებითი მხარეები თუმცა იგი კვლავ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად საქართველოსთვის.

საქართველოში საქორწინო ხელშეკრულება 1997 წლიდან მოქმედებს, თუმცა ნაკლებად განვითარებულია, რადგან საზოგადოების ცნობიერება უარყოფს აღნიშნულ ინსტიტუტს. ერთ-ერთი მეუღლის შეთავაზებამ ხელშეკრულების დადების თაობაზე, შესაძლებელია უსიამოვნება გამოიწვიოს მეორე მეუღლისათვის. სწორედ აღნიშნულს მოწმობს სტატისტიკური მონაცემებიც რომლის მიხედვით საზოგადოების პასიური დამოკიდებულებაა აღნიშნული ხელშეკრულების გამოყენების მიმართ. როგორც ავღნიშნეთ ნაშრომში, საზოგადოების პასიურობა შეიძება გამოიწვია სამართლის ნორმების არცოდნამ. ნაწილმა შეიძლება სულაც არ იცის არსებობს თუ არა აღნიშნული ინსტიტუტი, ნაწილმა კი სწორად ვერ აღიქვა.

როგორც ავღნიშნეთ, საქორწინო ურთიერთობები ყველა ქვეყანაში ტრადიციებთან არის დაკავშირებული და შესაბამისად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუმცა ისინი აღნიშნულ ინსტიტუტის მნიშვნელობას სწორად აღიქვავენ და ცდილობენ გაითვალისწინონ მომავალში წარმოქმნილი პრობლემების აღკვეთის საშუალებები. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის შედარებამ ნათლად დაგვანახა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია იგი მეუღლეებისათვის და რა დოზით იცავს მათ ქონებრივ უფლება-მოვალეოებებს.

საქორწინო ხელშეკრულების საზოგადოებაში დამკვიდრება არ იქნება მარტივი საკითხი, თუმცა ვფიქრობთ, რომ უდიდესი როლი შეუძლია შეასრულოს სახელმწიფომ თუ ქვეყანაში გატარდება საზოგადოების ინფორმირების საკითხები. აუცილებელია იცოდეს საზოგადოებამ, რომ ეს მხოლოდ მათზე მორგებული საკანონმდებლო ნორმაა, რომელიც ცდილობს დაიცვას მეუღლეების ქონებრივი უფლება-მოვალეობები, ქორწინების ნებისმიერ დროს. ასევე გაითვალისწინონ ის გარემოება რომ აღნიშნული ხელშეკრულებით არ შეიძლება რომელიმე უფლება შეელახოთ, ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამის ზომებს. ასევე ვფიქრობთ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შესაძლებელია დასახელდეს მეუღლეთა გაუბედაობა, აღნიშნული ინსტიტუტით სარგებლობასთან მიმართებაში და აუცილებელია მათ

იცოდნენ ის სამართლის ნორმები, რომლებიც მიმართულია პირიქით მათი დაცვისაკენ. ერთ-ერთ ასეთი საკანონმდებლო ნორმად მიგვაჩნია, რომ არის ნოტარიუსის მიმართ ვალდებულება - საიდუმლოდ შეინახოს ცნობები, რომლებიც მისთვის გახდა ცნობილი, ხელშეკრულების დადებისას. აუცილებელია მხარეებმა იცოდნენ, რომ ხელშეკრულების დარეგისტრირება არ არის გამჭირვალე პროცესი და არ გახდება ცნობილი მათი ურთიერთშეთანხმება საზოგადოების მიმართ.

როგორც ავღნიშნეთ, აუცილებელი არ არის მეუღლეები შეძლებული მესაკუთრენი იყვნენ და ამ ფაქტმა გადააწყვეტინოთ ხელშეკრულების დადება, ნებისმიერ ქორწინებაში მყოფ პირს და ასევე ვინც სამომავლოდ აპირებს დაქორწინებას, შეუძლია საკუთარი ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების დარეგულირება საქორწინო ხელშეკრულებით მოახდინოს.

ასევე ვფიქრობთ აუცილებელია მოხდეს საზოგადოების ყურადღების გამახვილება საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკისადმი, სადაც დავების უმეტესობა გადაწყდებოდა ბევრად მარტივად, რომ არსებულიყო საქორწინო ხელშეკრულება.

აღნიშნული ინსტიტუტის დამკვიდრებისათვის შესაძლებელი იყო გვემსჯელა თუ რამდენად გაამართლებდა მისთვის სავალდებულო ხასიათის მიცემა, ანუ ქორწინების სავალდებულო პირობად თუ მოვიაზრებდით. თუმცა ვფიქრობთ საზოგადოება მზად არ არის ამ ფორმით გაეცნოს საქორწინო ხელშეკრულების სმართლებრივ ბუნებას. აღნიშნულმა შესაძლებელია გამოიწვიოს მეუღლეების მიერ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების გზების გამონახვა და გაცილებით მეტი პრობლემა გამოიწვიოს. ამიტომ ვფიქრობთ უკეთესი იქნება პირველ რიგში მოხდეს საზოგადოების ინფორმირება.

საზოგადოება რატომღაც აღიქვავს, რომ საქორწინო ხელშეკრულების დადება მიმართულია მეუღლეების განქორწინებისაკენ და მიაჩნიათ რომ წყვილი დაქორწინებისას არუნდა განიხილავდეს მსგავს საკითხებს. რეალურად კი ვფიქრობთ სულ სხვა დატვირთვა აქვს აღნიშნულ ინსტიტუტს. დაქორწინებისას სწორედაც რომ განხილული უნდა იყოს მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები, არა

განქორწინების შემთხვევისათვის, არამედ ქორწინებაში, რათა თითოეულ მეუღლემ თავი იგრძნოს დაცულად. აღნიშნული გახლავთ სწორედ განვითარებული და მტკიცე ოჯახის წარმოქმნის საწინდარი. ჩვენ კი, როგორც საზოგადოების თითოეულმა წარმომადგენელმა, ხელი უნდა შევუწყოთ აღნიშნული ინსტიტუტის ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. შენგელია, ე. შენგელია „საოჯახო სამართალი“ (თეორია და პრაქტიკა) 2009წ.
2. გ. ნადარეიშვილი „ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევი“ 1971წ.
3. შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი 2004წ.

4. გ. თუმანიშვილი „საქორწინო კონტრაქტი“ მონოგრაფია 2010 წ.
5. ბ. ზოიძე „ქართული სანივთო სამართალი“ 2003 წ.
6. ზ. გაბისონია „ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი“ (გამომცემლობა იურისტების სამყარო) თბ. 2016 წ.
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეხუთე (გამომცემლობა სამართალი) თბ. 2000წ.
8. ლ. ჭანტურია „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“ თბ. 1997წ.
9. თ. ზარანდია, ლ. ლაზარაშვილი, შ. ჯანხოთელი „ტიპიური ხელსეკრულების ნიმუშები“ თბ. 2006წ.
10. შ. ჩიკვაშვილი „საოჯახო სამართალი“ (გამომცემლობა მერიდიანი) 2000წ.
11. ლ. ჭანტურია „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“გამომცემლობა „სამართალი“ თბ. 2011 წ.
12. ია ხარაზი - სამოქალაქო სამართალი სამოქალაქო საპროცესო საპროცესო სამართალი (თეზისები) თბ. 2009წ.
13. რ. შენგელია ე. შენგელია „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ (გამომცამლობა მერიდიანი) თბ. 2015 წ.
14. ზ. ახვლედიანი „ვალდებულებითი სამართალი“ (მეორე გამოცემა) თბ. 1999წ.
15. ვ. მეტრეველი „ქართული სამართლის ისტორია“ (გამომცემლობა მერიდიანი) თბ. 2014 წ.
16. ი. დოლიძე „ძველი აღმოსავლეთის სამართალი“ თბ. 1960 წ.
17. გ. ნადარეიშვილი „ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“ თბ. 2005 წ.
18. საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ 2009 წ.
19. ა. კობახიძე „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“(გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბ.2003 წ.
20. ს. ჯორბენაძე ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში თბ. 2017წ.

21. საქარველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი - წიგნი მეორე სანივთო (ქონებრივი) სამართალი - გამომცემლობა „სამართალი“ თბ. 1999წ.
22. PRIVATE INTERNATIONAL LAW (FIFTEENTH EDITION) OXFORD UNIVERSITY PRESS
23. ნ. გადელია „საქორწინო ხელშეკრულების (კონტრაქტის) აქტუალური საკითხები, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი“ 2009წ.
24. გ. ხუბუა -სამართლის თეორია თბ. 2004წ.
25. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (მეორე რედაქტირებული გამოცემა) თბ. 2019წ.
26. საქართველოს კანონი - საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ.
27. ვ. მეტრეველი - რომის სამართალი (საფუძვლები) თბ.2013წ.
28. საქართველოს კონსტიტუცია
29. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით.
30. ლია ჭიღლაშვილი - ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობით. (დირერტაცია) თბ. 2016 წ. http://www.gruni.edu.ge/uploads/files/disertaciebi/LAW_Lia_Chiglashvili.pdf
31. სქართველოს სამოქალაქო კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107
32. ნ. ჩიკვილაძე, დისერტაცია - მართმადიდებელ მორწმუნეთა ოჯახური ფასეულობები და დემოგრაფიული ორიენტაციები. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000058/Disertacia%20pdf..pdf?fbclid=IwAR14EgoQHf-2w8YLuXZH7ma1r_thToQzkrQ2UpiRV4fVvLNm2maITG_oRSg
33. ელა კუსიანი „საქორწინო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიული ფორმულაცია? (სტატია) 2012წ. http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf
34. ლ. ჭიღლაშვილი „ქორწინების ფორმები - ზოგადი მიმოხილვა“ http://old.gruni.edu.ge/uploads/content_file_1_1908.pdf
35. ოთარ ჯახველაძე - საქორწინო კონტრაქტი (რატომ არ სარგებლობს საზოგადოება ამ ინსტიტუტით) სტატია https://elawjournal.wordpress.com/2012/02/14/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-

%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D/?fbclid=IwAR2_AayYuM7GwqKSQQ2pyfb8qAnPH27PX-PIb-7PWsznHkKDrK3Bvdpx3ag

36. მინსკის კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა დასამართლებრივი ურთიერთობების შესახებ.1993წ. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi21.pdf
37. საქართველოს ნოტარიუსთა პალატა (20015 წ) https://www.notary.ge/geo-2324-2015-cels-12-saqorcino-xelshekruleba-gaformda
38. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და საერთაშორისო უფლებების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0
39. ია ხარშილაძე - რატომ გაიზარდა საქართველოში საქორწინო ხელშეკრულების რაოდენობა? https://www.ambebi.ge/article/84005-ratom-gaizarda-sakartveloshi-sakorcino-xelshekrulebebis-raodenoba/?fbclid=IwAR2oqgyZuemxgdgdLmla6MiBlrDHDzc22bCHW-Tlf2fgc1ESpZNfEchCa0k
40. Canadian Marriage Contracts By Michael G. Cochrane, LL. https://institutedfa.com/Prenuptial-Agreements-Marriage-Contracts-1/?fbclid=IwAR2QELlEvY0N4EQeAECv4koFh5XERnq26ojKIJCfi1tRzZesoU_dWOnURmk